

ცისკარი.

1 8 6 6

დეკემბერი.

წელიწადი მეათე.

წოდება თხზულებათა:

- 1 — ვირგინია, (რომის ძველის დროების სიმღერა. მაკოლე-ისა.) — ივ. კერესელიძისა.
- 2 — სამის თავს გარდასაელები. — ანტ. ფურცელაძისა.
- 3 — მეგობრული ჩუპნი სახლის ძველძულიანობა. — დ. ჯო-რჯაძისა.
- 4 — სხუა და სხუა ამბავი (იხ. მეორე გვერდზედ.)

ტ ფ ი ლ ი ს ს .

კერესელიძის სტამბაში.

ვ ი რ გ ი ნ ი ა .

რომის ძველი ღროების სიმღერა.

(მაკოლეისა.)

პლებიანელნო სულით მტკიცენო,
ერთობა თქუტსნი ქუტსუნად განთქმულა;
მოსიყუარულე თქუტსნებრიე მზგავსი,
თქუტსნებრ გულადი არსად არ თქმულა !
ტრიბუნნი თქუტსნთვს გამბედაობენ,
თქუტსნ მარად ყველგან მათ შემწედ ჰყევხართ;
ისინი თქუტსნთვს არასა ზოგვენ
და თქუტსნც იმათვს მთასავით დგენხართ.
გარს მომეხვეით, მოდით ახლოსა,
ანბავს გიანბობთ, მფლოეთელს გულისას,
რაც უთმენია სამშობლოს რომსა,
რასაც მოითმენს კიდევ ბევრ გზისა.
მე თქუტსნ გიამბობთ ზღაპარს კი არა,
თუნდ მაგალითად ავილოთ ისა,
რომ ერთს უღებურს სადღაც პატარა
ღულს და გადმოდის წყარო ღვინისა;

ან კიდევ ქალის მშჰსნიერ თმებზედ,
 გველებრ დაკლანურ, გიზრისა სწორად,
 ან მაზედ, თუ ვით მებომალდენი
 გარდაქცეულან გარეულ ღორად.
 არა, გაიმბობთ მომხდარს ანბაესა,
 სისხლით შებასრულ საშინელითა,
 და ეს მომხდარა მეიდანზედა,
 რომაელების თვთან თვალთ წინა.
 მას აქეთ არის სამოცი წელი,
 ამ თქმაზედ ზარი მეცემა თავსა,
 მაგრამ არიან ჩჰსნი მოხუცნი,
 ისინიც მმოწმენ ამ ჩემს ნათქვამსა:

ღღესაცა ვწყევლით დეცემვირთ სახელს,
 მათს მოქმედებას და ბოროტებას,
 მაგრამ აპპიას კლავდიას ქცევა,
 ყველაზედ მეტად გადმატება.
 იგი ამაყად ვით თვთ ტარკვინი
 მოედანს ხოლმე გადაბიჯებდა,
 ლიკტორებისგან შემდგარი სეიტა,
 მარად ღღე მძლავრს მას, თან მიზღვედა.
 მისდევდნენ მგრგვლივად ურიცხვ მახვილით,
 თავიანთ მეფეს და ბრძანებელსა,
 მოქალაქენი განიბნეოდნენ,
 დაინახავდნენ რა თვს მტანჯველსა;
 მის შუბლი ვიწრო და შეკმუხენილი
 შემადრწუნებლად იხილვებოდა,

და პირის სახე ცეცხლებრ მგზნებარე,
საწიზლრად ხოლმე ელრიჯებოდა.
მსახურნიც მისნი მის მზგავსნი იყენენ:
სადაც აპპია ეყოლებოდა,
მარკი ქალების გამრიგებელი,
ყოველთვს მის წინ, იქ აღჩნდებოდა;
გამოეწოდა კისერი გრძელი,
თვსის ბატონის თვალთ უყურებდა,
იმავე წამსა იგი მზათ იყო,
მის შმაგი გული რას ისურვებდა.
ამ გვარნი მონა ბევრჯელ გვინახავს
ჩუტნთა საცოდავთ ბერძენთა შორის,
თქუტნც კარგათ იციოთ პლებიანელნო,
მარჭაკლობაში არ ჰყავთ მათ სწორი.
ფულს გაუხსენებს, მათ ინადირებს
ტრიბუნებისა გარყენილი ერი,
იმ დროს, როდესაც თქუტნის ქცევისთვის,
მადლი რამ გფარავთ თქუტნ ზეციერი;
ბუზები ჯგუფად მიესევინ
იქ, ფუტკრის თათლი. სად დაიქცევა
და სადაც მძოვრი რისამე გღია,
იქ ყვაფი ფრენით მას დაესევა.
კაცი კეთილი ეძიებს კარგსა,
ბოროტი კაცი არ დაზღვეს ავსა,
და მებატრონე მსახურებისა
ყოველთვს ჰპოებს მსახურს თვს მზგავსსა.

ჩუპულეებრივად მიედანწედა,
 ხალხმა დღისით რა თავი იყარა,
 შემადრწუნებელ სვიტით მოცულმა,
 ამ დროს აპპიამ გამოიარა.
 ისე მოხდა რომ თვთან იმ დროსა
 დიდ ვმტუნეირი ვირგინი ქალი,
 გამოუარა აპპის ახლოსა,
 შეოლიდგან იყო შინ მომავალი.
 უზრუნველათა მან განელო ახლოს
 იქ, სადაც მახვილთ აქუნდათ პრიალი,
 რომლითაც იყო გარემოცული.
 თვთ უსირცხვილო კლავდის სარდალი
 ცელქობით თვისის უმანკობით,
 უზრუნველათ და მხიარულათა
 განელო, მაგრამა მან რა იცოდა,
 მიეცემოდა საფრთხეს თუ ავსა..
 მისმა უმანკო მტრედისა გულმა,
 უპატიურად ქმნა რა იცოდა,
 ბორბტის კაცის შეხედულობა,
 რის შემძლე იყო, არას ფიქრობდა.
 მოიცინოდა, მოიმღერადა,
 მამა-პაპათა სიმღერას ძველსა,
 მისი ხმა ტკბილი, ხტომა, ცელქობა,
 ემზავსებოდა ნაწსა ფრინველსა.
 აღელდა მასში მგზნებარე სისხლი,
 რა დაინახა აპპიამ ქალი,
 განუცხოველდა იმ წამს გარყენილი,

კლავდიელების ტრფობისა ალი.
 ბოროტნი თვალნი დააცქერდნენ გზას,
 უმანყო ბავშვმა განელო საითუნ,
 ძერა ზემოდან სჭერეტს ვით წიწილას,
 ეგრეთ შეპყრობად ბრჭყალნი მზათ ექმნენ.

ალბანის მთებით მშჰსნიერთა,
 აღმოჩნდა შუქი რა რომე მზისა,
 მოდარაჯეთ და გალაგნის მცველთა
 კარნი განაღეს მსწრაფელ ქალაქისა.
 ვაჭართ მიმართეს თვისა ღუქნებსა,
 სასყიდლოდ მისვლა შექმნეს მუმტრებმა;
 ხალხი მოედო აქ-იქ ქუჩებსა,
 იწყეს ზუზუნნი ვითა ფუტკრებმა.
 ღონიერთ მკედელთ ჩაქუჩის ცემით,
 ცეცხლების ცეინვა იწყო რუინამა,
 და ამ დროს ენახოთ ჩვეულებრ მღერით
 გამოიარა ვირგინიამა.
 ჩჰსნს სამშობლოში, რომაელთ შორის,
 ოჰ, ვირგინიავ, შენ იყავ თვალი,
 დღევანდლამდინა შენ თანასწორი,
 ჩჰსნში არ თქმულა არც ერთა ქალი....!
 წიგნებით საესე, აბგა ხელში, მან
 გამოიარა მეიდანზედა,
 და რა იცოდა მის წრფელ გულმან
 გარდახდებოდა თუ რა თავზედა.
 ის არ ფიქრობდა წუთისა სიფლის

არც მწუხარებას არცა სირცხვილსა,
 ყოველი ავი ბიწიერების,
 არა შეეცყო მის გულს ჯერ ჩვილსა.
 მამა-პაპათგან გმირულ საქმეთგან,
 მიიმღერიდა სიმღერას მგზნებარს,
 და რა მოვიდა აჲ ამ ალაგსა,
 სადაცა, მხედავთ, ახლა მე ვლგვევარ.
 უცებად მარკი, იმ ღროს აღმოჩნდა,
 ამპარტავენების ცეცხლსა აფრქვევდა,
 ისეთივი არ, ოდეს ვით მონა
 აპპიას რომე უკან დასდევდა.
 ახლა მოვიდა ის დიდ გულათა,
 შექმუხენილ სახით, ბრძანებელ ხმითა,
 და უცქერიდა ყველას მტრულათა,
 იმუქრებოდა მარჯვე მუშტითა.
 გზაზედ გადუდგა ვირგინიასა,
 მსწრაფლ შეაყენა საწყალობელი,
 ჯერ ჩააცეცა მას თვალი თვალსა,
 და შემდეგ სტაცა ორივე ხელი.
 შეჭყივლა ქალმა მეტად საზარლად,
 დაეცა შიშის ზარი თავზედა,
 ოთხ კუთხივ ხალხი მოსცივიდა სწრაფად,
 ამა სამინელს საწყლის ხმაზედა:
 ზარაფი კრისპი, განო ვაჭარი,
 კეთილსა გზაზედა მარად მავალი,
 ყასაბი მურენ, მარდი და ცხარი,
 მას სისხლიანი ეპყრა ხანჯალი.

მჭედელი მურენ გრძელის რკინითა,
 მივარდა მსწრაფათ ვირგინისთანა,
 ვინც კა შეიტყო მის მოთქმა ხმითა,
 იქ დაიბადნენ მსწრაფელ იმასთანა.
 ის იყო მშვიდი, ვით კრავი ჩვილი,
 ქალაქში მყოფნი იცნობდნენ ყველა,
 ვის ექნებოდა მამინ ქვის გული,
 რომ ყმაწვილისთვის არ მიემველა.
 ამის ნახეზედ მჭედელმა მურენ,
 მეტად მოსულმა გულზედ მამინა,
 ყუათიანი მკლავი აღიღო,
 რაც ძალა ჰქონდა, თავში სცა რკინა.
 დაეცა, მაგრამ ისევ წამოდგა,
 შეჰყვირა, — გვანდა პირუტყვის ხმასა,
 „ვის რა საქმე აქუს, ჩემია ესა,
 მე მხოლოდ ვითხოვე მონას ჩემსასა;
 მე შემიძლიან მოგკლა ცემითა,
 დაბადებულა ეგ ჩემს მონათა,
 არ დამანებებთ თქუტუნის ნებითა,
 მამინ წავიყვან მაგას ძალათა.
 თქუტუნ ყველამ იცით, თვთან აიმ წელს,
 ოდეს იყო აქ ჭირი მომსვრელი,
 მომპარეს ჩუმათ, სხუაგან გაყიდეს,
 ეგ ქალი და თვთ მაგის მშობელი.
 ახლა ემსახურებ მე აპპიასა,
 ჯერ მამას ვყვანდი, თქუტუნც იცით ხომა,
 მაგრამ იცოდეთ, ვაი იმასა,

ვინც შეურაცხყო კლავდიელთა მონა!⁴
 ასე ანობდა მარჯი უმსგავსო,
 და სასტიკ კლავდის ხსენებაზედა,
 შიშით და ძრწოლით გულნი ალავსო.
 იქ მყოფთ, და იმ წამს განდგნენ განზედა.
 ვინ იყო მშინ, რომ საწყალს ერსა
 გამოასარხოდა, ან-ეთქო რამე,
 ახლა კიდევ გყავს მადლობა ღმერთსა,
 ლოცინი, სექსტი და გვიფარამენ.
 ამათ ბევრჯელა გამოუხსნიათ
 ღარიბი, ქერივი, ოხერ-ტიალი,
 სადაც უნახეთ თავსა უდვიათ,
 გამოუხსნიათ ტანჯვით მტირალი....
 ვით თვისი შვილი, შემდგომს მჭედელმა,
 გულსა მიიკრა ვირგინი ქალი,
 მაგრამა კელში სწმინლად თრთოდა,
 შიშისაგანა იგი ფერ მკრთალი.
 ამ დროს ხალხითგან როგორც რომ ელვა
 მოვარდა კაცი იქ ახალგაზდა,
 მისი სიანჩხლე, მის გულის ღელვა,
 გამფოთებულსა მკაცრს ლომსა გვანდა.
 მეტის სიმწარით მოისო კელი
 გულზედ, სამოსი შემოიგლიჯა,
 გაანჩხლებულმა ძირს დაჰკრა ფეხი
 და შეუპოვრად დასდგა ხალხს შუა.
 მალლისა ხმითა მისცა ნიშანი,
 მისთვის დაეგდოთ რომ ყური ხალხსა;

ატირდებოდნენ მგონია მთანიც
 რა რომე მოჰყვა შეგონებასა:
 ჰვირიტიელნო, დღეს თქუტუნა გწყევლით,
 თქუტუნის სამშობლოს ქუტყუნის სახელით,
 თქუტუნის წინაპართ გამხმარის ძელებით,
 და თქუტუნ შუკლებით, შუკლის-შუკლებით!
 კმარა, აღზდექით, რომ გამოვიხსნათ,
 ჩუტნი სამშობლო ბორკილისგანა,
 თორემ ატარებთ სამუკლის-შუკლოდ,
 მონების ბეჭედს თქუტუნ ამისთანას!
 სჯულისა წიგნი სერვია ბრძენმა
 მოგვცა რომაელთ განა მისთვისა,
 და ლუკრეციამ სისხლი უმანკო,
 დანთხია განა ჩუტუნ გულისთვისა?

,

იქნება მართლა სიმტკიცის სულზედ,
 რით უქადნიათ ჩუტუნთა მამებსა,
 სრულებით იყვნეთ კელადებული,
 და გაგქრობიათ წამხდარს შეილებსა?
 მათ უომნიად მრავალი წელი,
 მით დაუცვიათ თავისუფლება,
 ჩუტუნკი დავკარგეთ ყოველი ფერი,
 რაც ანდერძათა მათგან გვრჩენია!
 ყოველი განქრა ვითა აჩრდილი,
 რაც რამ ომებში მათ მოიპოვეს,
 და რაც ნაყოფი ამა სამოც წელს

შეჰკრიბეს, განქრა ძმანო ამ ერთს ღღეს !
 ომი გადაწყდა თუმც სწამინელი,
 განგებამ თუმცა დაგვაგვირგვინა,
 რა გამოვიდა, ეს არის ძნელი,
 რასაც ვეძებდით, ის ნახა ვინა ?
 რომე შეგვყაროს მეიდანზედა
 არა გვყავს კაცი ჩუპნ იმისთანა;
 არა გვყავს კაცი, რომ დაჩაგრული,
 დაიცვას ხოლმე ძლიერისგანა.
 ლიქტორიელნო, თქუტუნსა მათრახსა
 დაუმორჩილეთ ჰკუა, გონება,
 ამპარტავენს სულს ოდესმე ჩუტუნსას,
 ახლა აქუს განა თქუტუნი მონება ?
 სიმდიდრე, მიწა, მასთან უფლება,
 დაგრჩათ იმ წყეულს, შეჩვენებულს ღღეს,
 არლა გვინდა რა თქუტუნს მონებას ქვეშ,
 რაც რამ გვაქუს, თქუტუნთან დაეხსენ იყვეს:
 ჩუტუნი ღიდების ტურფა გვირგვინი,
 სამშობლო ჩუტუნი ქუტყუნის სამოსი,
 ერთი დაგვითმეთ, ეს ერთი მაინც,
 ესლა გვრჩენია, — ერთი ნამუსი!
 აჰ, დაგვირევეთ, როგორც რომ მონა,
 ძალათ გაამსეთ თქუტუნი პოლკები,
 და რაც რამ პური ოფლით გვიკრიფამს,
 იმით გაავსეთ თქუტუნი ამბრები.
 როგორც რომ სენი გადასადები,
 ღრმად ფეხს გაიდგამს, საძაგელს, მყრალსა,

მაცოცხლებელი ყუათი, ჯანი,
 გამოუწურეთ ღარიბს, სწყალსა.
 მაგ თქუტსნის ბრჭყალით გსურდეთ როდამდენ,
 აწვალეთ, ფლითეთ მოვალე თქუტსნი,
 როგორც რომ ერთხელ იტანჯებოდნენ,
 თქუტსნს მძლავრს კელშია მამანი ჩუტსნი.
 ვით ყაფაზაში ფრინველი ტანჯვით,
 აღამებს ხოლმე თვს სიცოცხლესა,
 პლებიანელნი მოთმენით, კრძალვით,
 ეგრე ითმენენ თქუტსნგან ყოველსა.
 თქუტსნგან გვიყრია ფეხებს ბორკილი,
 ჩუტსნთვს წკებლებით ყველგან საესია,
 თქუტსნ ბარბაროსებრ ყოველთვს ქცევით,
 ჯოხების კვალი მხერბზედ გვაჩნია...
 გეტანჯეთ, გვაწვალეთ, როდემდის გსურდეთ,
 გამოგვწურვიდეთ ტვინითგან სისხლსა,
 მაგრამ ამასკი ვედარ მოვითმენთ,
 ბოროტს, საზიზღარს, თქუტსნს სიყუარულსა !
 იქნება ქალნი ახალგაზდანი,
 პირ შეთხუპნულნი დიდ კაცთა გვარნი
 აკლია თქუტსნსას საძაგ სურვილსა
 და მით ვერ იკლავთ ბოროტ წყურვილსა ?
 თქუტსნის ქცევისგან წაქეზებულნი,
 მდიდარ ეტლებით ქუჩებში ვლიან,
 და საწყალს ხალხსა თქუტსნგანვე კრულნი
 საზიზღრად ხოლმე მათ უცქერიან ?
 პლებიანელთ ხომ ტყავი გაგვხადეთ,

მითხარით, როგორ არა გრწამთ ღმერთი,
 როგორც თქვენს გსურდეთ, ისე დაგვეტანჯეთ,
 შეგვარჩინეთუი, ეს მხოლოდ ერთი;
 ეს ერთი, რომლით მწარე სიცოცხლეს,
 ოჰ, აიტანენ, როგორც იქნება,
 ნუ წაუშურტლავთ თავის ცოლმვლებს,
 პათიოსნება აქ მეტად კვდება !
 თორემ, მოისპო თუ რომე ჩუქნში
 უკანასკნელად ესე იმედი,
 მამინ იღვიძებს ძალა ვით მხეცში,
 და კაცი არის ყველას მოქმედი !...

.
 ვით ბნელი ღამე, ვირგინის მამა
 ამ ღროს მოვიდა მეტად ფერ მკრთალი,
 სულის სიმშვიდით და მეტად წყნარა,
 განს გაიყენა თავისი ქალი.
 მივიდა იქ, სად ყასაბს დაეკლა
 ერთი ძროხა და სამიოდ ცხვარი,
 მის ყასბის ხანჯალს კელი წაავლო,
 ქალიცი სჭერეტდა მამას, ვით კრავი.
 თვალნი აღევსო მშობელს ცრემლითა,
 და შეუგუბდა საცოდაეს სული,
 გულ-ამომჯდარმა მთრთოლვარეს ხმითა,
 დაიწყო სიტყვა, გულ-მტკიენეული:
 „მშუდობით შვლო, საუნჯეე ჩემო,
 მოელო ბოლო დღეიდგან ყველას,
 შენც კარგათ იცი თვთ სიყრმიდგანვე,

როგორც მიყვარდი, უბედურს მამას....
 რა გვარ მიყვარდი, ოჰ, ვირგინია!
 ზოგჯერ კი ვიყავ თუმც დაღვრემილი,
 მენტვსკი მქონდა მე გული ღია,
 მეგულებოდი რა ერთი შკლი;
 შენცა მიყვარდი მოხუცი მამა,
 მახსოვს, შარშან რომ დაგბრუნდი ომით,
 რა დამინახე მე, იმავ წამა,
 გამომეგებე ეზოში ხტომითა.
 თოფი-იარაღი რომ შემომხსენი,
 წაიღე, კედელს და დაჭიდდევი,
 გულით მომემო ყოველი სენი,
 შინაურს ანბავს რომ მომიყევი;
 სულ დამავიწყე ურვა, ვაება,
 რა შემაქცევედი მშუტსნიერს ხმით,
 და როს იხილე ძღვეის გვირგვინი,
 როგორა ხტოდი სინარულითა.
 ახლა სულ განქრა: შენი ღიმილი,
 შენი ჩემდამო აღერსით ქცევა,
 შენი ჰიკჰიკი, ჩემს მკლავზედ ძილი,
 და ძველებური შენი სიმღერა.
 ვილა იწუხებს ჩემსა წასვლაზედ,
 სახლის კარებსა მოკეტამს ვინა,
 და ან რომელილა გაიხარებს,
 როს დაგბრუნდები მგზაფრობით შინა?
 სიყვდილის დროსა მოხუცებულსა,
 ვინ მომიჯდება მე სარეცელსა,

და ოდეს მივცემ ზენა-არს სულსა,
 ვილა დაანთხევს მწუხარე ცრემლსა....
 დაეხსენ იყოს მოცული ბნელით
 სახლი მამისა დაობლებული,
 აღარ ხარობდეს მტრედებრ ხმით შენით,
 ყოველის მხრითა იგი ბედკრული;
 დღეიდგან განჭრა სინათლე ჩემი,
 დაე მოვავლდე ქუჩის ნათელსა,
 აწ უკლო ჩემის ბედისა გემი
 ვეღარ იხილავს დღეიდგან ხმელსა....
 შეხე, აპპია აქეთ გვიყურებს,
 ბორბოტ თვალეებში ცეცხლი ეგზნება,
 თითქოსო ჩუქის მწუხარებითა
 და ტანჯვისათვის, დატკბება, ძღება.
 თვის ბორბოტებით დაბრმავებული,
 ხომ არა გრძნობს და ფიქრობს ამასა,
 რომ ეს იმედილა შერჩენია,
 შეურაც-ქმნილსა მშობელს მამასა.
 მტარვალს ვინ მისცემს იქამდინ ნებას,
 რომ პირმშო უკლი ჩემი იმონოს,
 და ათას გვარსა გინებას, წყევას,
 შეურაცხებას დაუმორჩილოს.
 სული უმანო, უკლო, წრფელი,
 უნდა ჩაუგდო მეძავს ბრჭყალს კელში,
 ოჰ, ცოდო, ჯერეთ არ შეგიტყვია,
 და არც შეიტყობ შენ თავის დღემი.
 მოდი აქ, უკლო, უკანასკნელად

მომეკარ გულში, მაოცე ნუ სორთი,
საზიზლ წაპილწვის გამოსახსნელად
მხოლოდ გვრჩენია მე და შენ ერთი....⁶

უცებ მოხუცმა აიღო მალლა,
რომელიც ეპყრა, მკვეთრი ხანჯალი,
მარცხენეს მყერდში ძრიელად დაჭკრა, —
ძირს, ქვიშაზედან დაეცა ქალი.

მამინ, ამაზედ, იქ მყოფთ, ერთ წამსა,
სული გაემიდეს დიდთ, თუ პატარათ,
და მრთელ მეიდნის ერთბამად ხალხსა,
თითქოსო რალაც გადგრა შავათ.
მწუხარების ხმით შემდგომს იკიელა,
ჩოჩქოლს, ყაყანსა მიეცა ერი,
შემადრწუნებელ იყო ეს ხილვა,
თითქოს ესია ქალაქს რომს მტერი.
შინისკენ ზოგი, შიშით გარბოდა,
ზოგი მირბოდა ექიმისთვისა,
და მრთელი ხალხი თავსა ევლოდა,
რომე ემველათ ეგებ მისთვისა;
ეგებ სიცოცხლის ეპოვნათ კვალი,
ყურსა უგდებდნენ სულის განაბით,
ზოგი უკრავდა დაჭრილობასა
თვისს გახდილის ტანისამოსით.
ამაო იყო მათი შრომა ეს,
ოჰ, მამამ მოკლა ისე თვს შვლი,

რომ მკლავთ გამბედავთ არ უღალატეს,
 ომებში ჰქონდა რა გამოცდილი.
 თუთან აპპია კლავდი გოცდა,
 ესე შემთხვევა ნახა თუ არა,
 თვს წამოსასხმის კალთასა დასწვდა,
 მიიტანა და თვალთ მიიფარა.
 როგორც რომ ძეგლი, იღვა დახრილი,
 და გამოთხიზლდა, — როდესაც ნახა,
 თრთოლვით, ბარბაცით, ჰკუთით შემლილი,
 მიუახლოვდა ვირგინის მამა.
 აქ შედგა, — მერმე თვისი ხანჯალი,
 სისხლში მოსვრილი, კელში რომ ეპყრა,
 თვალთ ცრემლიანმა, მკლავის კანკალით,
 მალლა აიღო მან ცათა მიმართ.
 „ოჰ, ღმერთო, ღმერთო თქუტუნ ქუტსკენელისა,
 სადაც სიბნელე არს მარადისათ,
 ძვირფასი სისხლი ჩემის შვლისა,
 სამართლიანად თქუტუნ უნდა იზღათ!
 უღმრთო, მტარვალმა, მე მოხუცებულს,
 შეურაცხება აწ მომაყენა,
 განაჩენი მას ბოროტად ცხებულს,
 სამართლიანი დასდევით თქუტუნა:
 როგორც რომ კლავდიმ ასე ინება,
 ჩემი დანთქობა, თვისის მძლავრობით,
 ეგრეთ დაანთქეთ კლავდის ხსენება,
 თვისის წყეულის ჩამამავლობით!“

მზობელი მამა ესრეთა სწყევლა,
 სისხლისა ზღვეას ჰსთხოვდა ღმერთებსა,
 და უკანასკნელ მან გადახედა,
 მკვდარის ყმაწვილის ქალის სხეულსა.
 გულისა სიღრმით ამოიოხრა,
 სახე შეექმნა როგორც რომ მკვდარსა,
 და მეიდანში ხალხში განელო რა,
 მიმართა ოხრად ქმნილს, თავის სახლსა.

აპპია კლავდიმ გამოიფხიზლა,
 შიშისა ზარის დაცემისგანა,
 ჰსთქუა: „ათას შავ ფულს მე იმას მივცემ,
 ვინც მოამორებს თავს ტანისგანა!“
 ერთი შეხედა კლიენტო მრისხანედ,
 რომელნიც იღვნენ იქ უძრავათა,
 შემდგომს ცხენს შეჯდა, გასწია შინეთ,
 და ეს უამბო თვს ამაღათა....
 მოაწვა ხალხი მკვდარს, როგორც ტალღა,
 გულის საკლავად შექნეს ტირილი,
 და შემდგომს იწყეს ერთბამ ხმა მალღა,
 კლავდიელეებზედ წყევა, ჩივილი.
 ხოლო რა შეკრბენ თვსნი და ტომნი,
 მორთეს მშვენიერად ვირგინის გვამი,
 გარს ეხვეოდნენ ცნობნი, უცნობნი,
 შკოლისა სწორნი და ამხანაგნი.
 საკაცე შეჰკრეს ტირიფის წნელით,
 ზედ მოაყარეს მინდვრის მდელით.

გარს შემოუწყეს სწორთ თვისს ხელით,
კვიპაროზისა და დაუნის რტონი.

და სიფრთხილითა, როგორც მშობელი
აკვანში აწვენს ხოლმე თვს შკლსა;

ეგრეთ ვირგინი, უმანკო, წრფელი,
დასვენეს ზედ, კედრის სარეცელსა...;

კიდევ აპპია მოვიდა უცებ,

ბარბაროსებრივ ქცევითა სავსე,

დი შეუძახა ლიკტორიელებ:

„რისთვის შეყრილა აქ ხალხი ესე ?

რომ დღე და ღამე დაეთრევიან,

არა იქნეს შინა ეტყობათ საქმე,

ეი ! მსახურებო, ხალხი გაყარეთ,

და ეხლავ მძოვრიც ეგ გადაადგეთ !“

სასტიკ აპპიას როს ბრძანებითა,

დაესივნენ ხმლით ხალხს როგორც ელვა,

მამინ იქ მყოფთა მალლისა ხმითა,

შექნეს ყვირილი, ლანძღვა და წყევა.

ხალხის კიჟინის ხმა სწმინელი,

მამინ ცად მიმართ აღიწეოდა,

მხოლოდ მკედრის ახლოს, სწორნი და ტოლნი,

მშვიდობიანად შემოხვეოდა.

კარგია მკედართან რომ არ მივიდნენ,

ველარ ითმენდნენ თორემ, მამინა,

ცოცხლად და მთლად დაბრუნდებოდა

ველარც თუ ერთი ლიკტორი შინა.

ისე გახადეს პლებიანელთა,

არ შეარჩინეს არც ერთი ცხენი,
 ტარი ზმლებისა, შერჩათ მათ კელთა,
 და დაეღეწნენ სხუა დანარჩენი.
 შემოეგლიჯათ ტანთა საცმელი,
 არლარა შერჩათ რა რომე ზედა,
 აპპიმ ანიშნა ლიეტორელთ კელი,
 რომ ლაპარაკი ველარ გაბედა.
 შეიტრიალა შინისკენ ცხენი
 და რა შეუდგა სადგომის გზასა,
 იქ მყოფნი მამინ დიდნი, მცირენი
 ქვებისა სროლით მიჰყენენ მის კვალსა...
 ჰკრეს მას თავში ქვა, და გაუხეთქეს,
 ძლიესლა ჩამოჰსვეს ის ცხენითგანა,
 მსახურთ გახადეს და დააწვინეს
 ველარც წამოდგა სარეცლითგანა!...

.

ი. კერესელიძე.

10 დეკემბერს 1866 წ.
 ტფილისს.

სამის თავ გადასაველები.

(ნამბობი ბესარიონ ვარგისაშვილისა.)

1.

შენ ჯერ ქალაქში ჩამოსული არ იქნებოდი, — დაიწყო ბესარიონმა, — როდესაც მე გამომაგდეს სამსახურიდამა. ხომ იცი, ულაგო და უსაქმური კაცის შესაქცევარი და გასართობი არის ჩვენი ბულვარი, ანუ როგორც ჩვენი ქართველი ქალები ეძახიან — ტროტრო. ამ ულაგობაში მე ხშირათ გამოვდიოდო აქ, მეტადრე საღამ-საღამობით და ვაცეცებდი აქეთ იქეთ უხეიროთ თვალებსა. აქ ბულვარზედ ხშირათა ვხედავდი ერთს ჩაფიქრებულს, გამხდარს და ნაცვეთს ტანისამოსში გახვეულს ყმაწვილს კაცსა. ის ყოველთვის მარტო დადიოდა. ერთხელ ის იჯდა ბულვარის სკამზედა და მეც დაღლილი მოუჯექ გვერდსა. მე მოუყიდე პაპიროსსა. ისიც თითქო ენლა გამოვიდა ფიქრიდამაო, ჩაეწოდა უბემი, ამოიღო პაპიროსი და მთხოვა ცეცხლი. მე მაშინვე მივეცი.

— თქუენ ქართველი ბძანდებით? ვკითხე მე.

— დიახ!

— გვარი? თუ უკაცრავათ არ გახლდეთ.

— დავით ღესპანიძე.

ღესპანიძე! ღაფიქრდი ჩემს გუნებაში. ეს გვარი მე ჩუბნს მხარეს არსად გამეგონა.“ ჩვენილამ არ უნდა იყვეს მეთქი, ესთქვი ჩემს გულში.

ჩუბნ თან და თან გავებით ლაპარაკში და კარგა ბინდამდის ვილაპარაკეთ. ვთხოვეთ ერთმანეთს, ერთმანეთის ცნობა.

ბოლოს თავთავის ბინაზედ წავედით. ჩუბნ სალამ-სალამობით ვიარებოდით ხოლმე ბულვარზედა და გვეკონდა ლაპარაკი.

მე ყოველთვისა ვცდილობდი, რომ იმის თავზედ მომეყვანა ლაპარაკი, მაგრამ ის ამას ძალიან ერიდებოდა, და მე დიდს ხანს ვერ გავიგე იმისი ვინაობა და იმის მდგომიარობა დაწერილებითა.

ბოლოს, როდესაც იყო, გულმა არ მომითმინა და დაუწყე იმას თავისი ანბის კითხვა. იმან აღმითქვა მბობა, თუ ღრო როდისმე ექნებოდა.

ერთხელაც დავით დავინახე: ის გაჩქარებული მიდიოდა საითლაცა, დამინახა თუ არა, გამოეყანა ჩემსკენ.

— ბესარიონ! მე მივდივარ, — მითხრა მე იმანა.

— საით? — ვკითხე მე.

— * * * უეზდის სულში ალავს მაძლევენ და იქა.

— ამბავი, რომ დამპირდი?

— იქილამ თუ მოგწერთ. ანკი რათ გინდათ. შენ შენი ღარდიც საკმაო გაქუს.

„ეე! ღარდი!... სულ ღარდი!... ნეტა თუ რა უნდა იყვეს ამისი ღარდი; რომ ეს ასრე ჩამოეხმო და ჩაფიქრებინა!...“ ვიფიქრე მე.

ის მაშინვე გამომესალმა და გასწია სტანციისაკენ ცხენებისთვისა.

გავიდა ერთი ოთხი-ხუთი თვე და მე დავეითისა აღარა გამიგიარა. ერთხელაც ის უცებ შემომხვდა ბულვარზედ, უწინდელზედ უფრო ჩაფიქრებული და ჯავრიანი. თვალები ჰქონდა ჩაცვივებული, სახე გაყვითლებული.

ჩუპნ მივესალმენით ერთმანერთსა.

— თითქო თქუპნ * * ში წახვედით? ვკითხე მე.

— წავედი კიდეცა და კიდეც მოვედი.

— რალათ დაბრუნებულხართ?

— მომიცდა იქ სამსახური და სხუა საჭიროებაცა თხოვლობდა ჩემს აქ მოსვლასა.

— რა საჭიროება? რატო აგრე მალამ თქუპნ თქუპნს თავის ანბავსა. დაეიჯერო მარტო ულაგობა გაწუხებს აგრე, რომ კაცის ფერი აღარ გაძევს?

— ულაგობაც მაწუხებს და სხუაცა.

— ის სხუა რალაა, რომ გაწუხებს?

— შეიტყობ, როცა დრო იქნება.

— ენახოთ ერთი რა იქნება,

კოტას ხანში ეს დროც მომეცა.

დავითმა მიჩვენა თავისი სახლი. იმას ეჭირა ერთი პატარა ოთახი.

ერთხელ მე მიველ იმასთანა, ის იჯდა დაფიქრებული, და კათხულობდა ერთს კელ ნაწერ წიგნსა. ჩემს დანახვად ის წამოდგა და მომეგება. ჩუპნ კარგა ხანს ვისხედით ისრე და ლაპარაკი როგორღაც ვერ გავაბით.

— აი, რომ გინდოდა გაგვეო მიზენი ჩემის ფიქრისა და

მწუხარებისა, მე ეხლავე გიანბობ, მითხრა ბოლოს იმანა.

— მეც ყურს გიგდებ.

აქ დავითმა მოუყიდა პაპიროსს ცეცხლი, შესუნთქა რამდენჯერმე თამბაქოს ბოლი, დაებჯინა სტოლზედ და დაიწყო.

2.

რა საკვირველია იმ დროს, როდესაც ნამდვილი მეცნიერება არ იყო, უნდა ხალხი გამხდარიყო ფატალისტი, დაეჯერებინა, რომ კაცის თავს ბედი არის და ვისაც თავს რაც მოსავალია, არ ასცდება. ზოგჯერ კაცს ისე უმარჯუტებს ყოველ რიგი უბედურება და კელის მოცრა, რომ ის უნებურად ჰხდება ფატალისტი.

18... წელსა, რაკი მამიჩემის სამკვიდრო დარჩა სულ წმიდათ ვალში პრიკაზსა, მე ჩამოველ აქ ლუკმა პურის სამოენელათ: ეს ქუტსყანა ჩემთვის სრულებით უცხო იყო. პატარა მოვესწარ თუ არა თავსა, მამა ჩემმა (დედაკი ცოცხალი აღარა მყვანდა) გამისტუმრა რუსეთს * * * სასწავლებელში. მე ერთი წელიწადილა მკლდა აქ სწავლის შესრულებასა, როდესაც მომივიდა მამიჩემის სიყვილის ამბავი. მე მამინვე დავანებე თავი სწავლასა და წამოველ ჩემი სამკვიდროს მოსაპატრონებლათა, რათგან მომდიოდა ამბავი, რომ თუ არ მოხედე შენ ქონებასა, ყველა უპატრონოთ გაგიოხრდებაო. მაგრამ იმ დალოცვილს მამა ჩემს, იმდენი ვალი აედო, რომ, როგორც ზემოთა ვსთქვი, იმის ქონება სულ პრიკაზმა წაიღო და ისე პირების ვალი დღესაც გადუხდელია. ანკი ვინ გადუხდლიდა? მე იმდენი ფულილა დამრჩა, რომ ჩამოე-

სულ ვიყავ ქალაქში და აქ რამდენსამე თვესა მყოფნოდა საცხოვრებლათა. აქ მე არა მყვანდა ნაცნობები, არა მყვანდა ნათესაობა, და ამასთან გამოუცდელიც ვიყავი ცხოვრებაში.

მე, რაღა თქმა უნდა, მამინვე, მივეცი ქალაქი ერთს ჩემს მოწონებულს სასამართლოში და ვითხოვე ალაგი. გამომივიდა პასუხი, რომ ალაგი არ არისო, და წამართვეს ქალაქის ფული; მივეცი მეორე ადგილას და იქაც მივიღე უარი და გამოემართვა ქალაქის ფული. ერთის სიტყვით აღარ დამრჩა სასამართლო, რომ ალაგი არ ვითხოვე და ალაგის მოცემის მაგიერათ მერთმეოდა ქალაქის ფული; დაერჩი ხახამშრალი. შენი მტერი იყვეს, როგორც ჩემი საქმე! ფული თან და თან გამომელია, ალაგი არსად მიჩნდა, ნაცნობები არა მყვანდა, ნდობა არავისგან არა მქონდა, რომ ვალითაც არის მეცხოვრა, ვიყავ საცოდავათა.

ბოლოს მიჩიეს, რომ ჯერობით სვერხ-შტატათ შედი სადმე და მერე ალაგსაც იმოენიო. დაუჯერე და შევედი სვერხ შტატათ. მაგრამ ალაგი ჯერ გვიანობამდინ არსად მიჩნდა. რა უნდა მექნა? დაუწყე უროკებს ძებნა, რომ ეგება ამით მაინც გამემართნა როგორმე ხელი, მინამ ალაგს ვიმოენიდი. დიდ ხნობამდინ უროკებიც ვერ ვიმოენე. ბოლოს როდის, როდის, გამიჩნდა ერთი უროკი, რომელშიაც ვიღებდი თვეში სამს თუმანსა.

მე ნუგემათ წიგნებილა მქონდა დარჩენილი. ესენი იყვნენ ჩემი ამხანაგნიცა, ჩემი ნათესაენიცა და ჩემი გამართობნიცა. ამ სამის თუმნითა უნდა კიდევ მესვა, მეჭამა, სახლის ქირა გამელო, ერთის სიტყვით, ტანისამოსს გარდა, რომელიც

ჯერობით საუმალო მქონდა, უნდა შემენახა ჩემი თავი, ამასთან უნდა წიგნებიც მეყიდნა. წიგნების გულისათვის უნდა ისრე შემეჭირებინა, რო დაჩვეულმა კაცმა ავიღე ჩაიხედ ხელი, აგრეთვე აღარც ვახშამსა ვსჭამდი, და ესჯერდებოდი მარტო სადილს. სახლი მარტო ერთი პატარა ოთახი მეჭირა, რომელშიაც ვაძლევდი სამს მანეთს თვეში. სხუა ყოველი საჭიროება აღვიკრძალე, თუმცა ეს აღკრძალვა იაფათ არ მიჯდებოდა.

ჩემს მახლობლათ იდგა ერთი ყმაწვილი კაცი, იქნებოდა ოც და ხუთისა, ან ოც და ექვსის წლისა; ის იყო სუბთა სახისა, მაღალი, მხარბეჭიანი და ცოტა წელში მოხრილი ყმაწვილი, წვერ უღვაში ჰქონდა გამოშვებული; თვალები ჰქონდა ჩაფიქრებული და გამომეტყველი, სახე დინჯი და აუჩქარებელი. სიარულში ეტყობოდა, რომ ამას გონება ჰქონდა საქმეში გართული და უსაქმურათ არ დადიოდა. ის ხან და ხან კიდევ გამოელაპარაკებოდა ხოლმე თავის ღარიბ მეზობელს დედაკაცებსა და ზოგის სახლში კიდევ შედიოდა, თითქო თვითონაც ამ სახლის შვილიაო.

მე მკვირვებდა ამ ყმაწვილის ქცევა. იმის ტანისამოსიცა და სახეც უმტკიცებდა, რომ არ უნდა ის ყოფილიყო დაბალი კაცის შვილი და ამ გვართვი იქცეოდა დაბალს ხალხთანა.

—ე ჩუცნს მეზობლათ რომ ყმაწვილი დგას, ვინ არის ეგ ყმაწვილი?—ვკითხე ერთხელ მე ჩემს სახლის პატრონს მოხუცებულს დედაკაცსა.

—ნეტავი მაგის დედასა, შვილო, რომ მაგისთანა შვილი ჰყავს,—მიპასუხა იმანა,—ჯერ მაგისგან ერთი ურიგო სიტყუა, ერთი ცუდი შეხედვა არავის მოაგონდება. ღმერთმა

ამოაგდოს ახლანდელი ქალები! ისინი ხომ რა არის—ძალა-
თი ვარდებიან კაცს კისერზედა, და, დედამწულობამა, რომ ეგ
ზედაც არ შეჰხედავს ხოლმე იმათა.

— ეგ მარტოა? ან არავენ დადის მაგასთანა?

— არა, არა, შვლო! ეგ სხუასავეით პაქარნი და გამყო-
ლი არ არის. თუ დადის ვინმე ბავასთანა, მაგისავეით კარგი
და პატიოსნები არიან... იმისთანა დიდი კაცის შვლია და
ნუ იფიქრებ, რომ მაგან ითაკილოს ვინმე! ყველასთან სწორ-
ამხანაგურათ არის... სულ წიგნებსა კითხულობს... სახლის
ქირასაც ყოველთვის ულაპარაკოთ აძლევს... ძალიან მადრი-
ვლები არიან აქ ყველანი მაგისი, ძალიანა.

— რა გვარია?

— სვიმონი.

— არა, გვარს მოგახსენებ.

— იაგორიჩი.

— არა, გვარი! რა გვარი გახლავთ?

— რა ვიცი, შვლო, ვერკვი ეძახიან და! ჰო, კიდევ ბა-
დლაძეცა ჰქვიან.

მე ვიფიქრე, რომ ამ კაცის გაცნობა უეჭველათ საჭიროა
მეთქი. მაგრამ ჯერკვი ვერა ვბედავდი. მე ვეძებდი მარჯვე
შემთხვევასა.

ერთხელაც მე ვიჯექ ჩემს ოთახში და ვკითხულობდი
პირველს ტომს შლოსსერის 18 საუკუნის ისტორიასა,
რომელიც არ იყო დიდხანი რაც გამოვიდა, რომ სვიმონმა
უცებ შემოალო ჩემი ოთახის კარი და წამომადგა თავსა.

— ხომ არ გეწყინებათ, რომ მე თქუტუნს უნებურად შე-
მოველო თქუტუნთანა.

— მე ძალიან მადლობელი ვარ, რომ თქვენ დამასწავ-
რით, თორემ მე მინდოდა მოვსულევიყავი თქვენთანა.

— მაშ კეთილი.

ის დაჯდა და დაუწყო შინჯვა წიგნებსა.

— ეს შლოსსერისაა?... ძლივს არ გამოვედა რუსულ-
შიაცა. მე არა მაქვს ეგ წიგნი.

— მაგის მეტი ჯერ სხვა ტომები არ გამოსულა.

— ჰმ!

— თან და თან გამოდის რუსულშიაც რიგიანი წიგნები.

— დრო არ არის თუ!... შეიძლება მათხოვოთ? მეცა
მაქვს წიგნები და როდესაც გინდოდეთ წაიღეთ.

— ბატონი ბძანდებით.

პიტარას ხანს უკან ჩვენ თანდათან გავებით სხვა და
სხვა ლაპარაკში; დავიწყეთ ლიტერატურაზედ, ჟურნალებზედ,
პოლიტიკაზედ, მეცნიერების მოძრაობაზედ ლაპარაკი. გავე-
ბით სჯაში და გამოვჩნდით ორნივენი ერთის აზრისა, თუმცა
ბეჯითის ცოდნითა და რწმუნებაებით სვიმონ ჩემზედ ბევრით
მტკიცე და გამოცდილი გამოდგა. მე ძალიან გამეხარდა რომ
ამისთანა კაცი გავიცან. ჩვენ ვილაპარაკეთ დიდს ხანს და
მოვიდა ჩაის დროცა.

— წავიდეთ ახლა ჩვენსა, ჩაი დავლიოთ, მითხრა სვი-
მონმა რაკი დამატყო, რომ მე ჩაის არ ვასმევდი.

— მე ჩაის არა ვსვამ.

— არა, ჩაიც დავლიოთ და ახლა ჩემი წიგნებიც გავმინჯოთ.
ჩვენ წავედით.

იმას ეჭირა ორი სუბთა ოთახი და ერთი სამხარეულო. მსა-
ხურათა ჰყვანდა ერთი მოჯამაგირე იმერელი ბიჭი, სახელათგოგია.

ჩუბნ დავლივთ ჩაი და კიდეც დიდხანს ვილაპარაკეთ ამ მთისა იმ მთისა. მე ძვირათ შემხვედრია ამ გვარი ყმაწვილი დი მაყვირებდა ამისი ქცევა. იმას ყველა სიტყვა აწონილი ჰქონდა; ვერას დროს ვერ მოასწრებდი, რომ იმას ელაპარაკუნა იმაზედ, რაც საქმეს არ შეეხებოდა. ამას გარდა, სად გინდა, რა ალავს გინდა, ეს არ დადიოდა. ხშირათ ნახვდი შენ ამას ნახშირის მეიდანზედ, სადაც რაღასაც ელაპარაკებოდა მენახშირეებსა; პურის მეიდანზედ ხშირათ ჩამოჯდებოდა გლეხების პურის ტომრებზედ და ელაპარაკებოდა ტომრების პატრონებს რაღასაც, უგდებდა ყურს ვაჭრობასა და ალებ მიცემობასა; დუქნებშიაც ხშირათ ნახვდა კაცი სვიმონსა, სადაც ის შევიდოდა რისამეს შესაჭმელათ და აქ გაეხმოდა ლაპარაკში სხუა და სხუა რიგს მუმტრებთანა, ელაპარაკებოდა მთვრალებსა და ხან და ხან კიდეც აწყებებოდა ხოლმე იმათა. ერთის სიტყვით კუთხეს ვერ იპოვნიდი, სადაცკა ხალხის შესაგროვებელი ყოფილიყო, რომ სვიმონს არ ევლო იქა და არ ედევნებინა ფიქრით ყური იმათის ქცევისა და ცხოვრებისათვის. როცა შინ იყო, უჯდა წიგნებსა და არ ამორებდა იმათ თვალსა.

სვიმონთან ძვირათ თუ ვინმე მოდიოდნენ. ათასში ერთხელ თუ შემოვიდოდნენ მეზობელი საწყალი დედაკაცები ქალღლის გასაკეთებლათ, ან სხუა რამე საჭირო საქმისათვის, თორემ მაგდენი აგრე რიგათ არავინ დადიოდა ამასთანა. უწინ თურმე ხშირათ დაიარებოდნენ იმასთან სიტყვა ფანტია ყმაწვილ კაცები ენის მოსაქავებლად და ამათაც მალე ამოაკვეთინა ამან თავისას ფეხი.

მე და სვიმონს ერთმანერთი როგორღაც გაუტკბით. ის

იყო ბევრით ჩემზედ უფროსი, და როგორც სჩანდა უნდოდა მე დავეყენებინე ერთხელ არჩეულს თავის გზაზედა და მატყობდა კიდევცა, რომ მე არა ვხამობდი იმის ცხოვრებასა, იმან მიიჩნია, რომ მე გადაესულევიყავ იმასთანა. მე მამინევი სიხარულით გადავლაგდი ჩემის ბარგითა.

იმასა ჰყვანდა დიდი ნათესაობა ქალაქში და ზოგს ამის ნათესაეებსა დიდი ალაგებიც ეჭირათ და იყენენ გამოჩენილნი პირნი; მაგრამ ეს ამ დიდკაცებთან ძვირათ, ძვირათ თუ როდისმე წავიდოდა.

— რატომ არ დადიხარ შენ დიდკაც ნათესაეებთანა? — ეკითხებოდა ერთხელ მე.

— რომ წავიდე რა გავაკეთო? — მიპასუხა იმანა.

— რაც უნდა იყვეს, ისინი ყოველს შემთხვევაში გამოსადგეარნი არიან.

— ჰმ! — ჩაიცინა იმან ირონიულათ: — მერწმუნე, თუ რომ სადმე გამოუსადეგარნი ვინმე არიან, გამოუსადეგარნი მაგვარი ხალხნი არიან, თუ სამსახური უნდა კაცსა და მაგათი საუბილოა, მამინევი და, სხვაფრივეკი ღმერთმა შეინახოს... მაგათთვის საზოგადო სარგებლობა ღმერთს არ დაუბადია... მე დავდიოდი ხშირათა, მინამ შევისწავლიდი მაგათს აზრს, ცხოვრებას და ყოფაქცევას... ახლაკი მაგათთვის დრო აღარა მაქვს.

სვიმონ რამდენიც უფრო გავიცან, შევნიშნე, რომ ხან და ხან ის შეიქნებოდა ხოლმე დადგომილი და დაფიქრებული. ამ ყოფაში ის იყო ხოლმე თითქმის სულ ჩუმათა და თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, მეტადრე უსაქმურათა, ის მოსხვებით უპასუხებდა ერთს ორს სიტყვას იმ გვარათა, რომ

ამკრათ დათხოვნა იყო, თითქო გეუბნებოდა ნულარ მელაპარაკებო, თორემ პასუხს აღარ გაღირსებო. გოგია ბიჭს, რომელსაც უყვარდა ყოველს უბრალო საქმეზედ კითხუა და ლაპარაკი, სვიმონ ისრე უგემურათ და გესლიანათ უპასუხედა, რომ ერთს წუთს სულ აკარგენებდა ხალისსა.

— მაგისთანა კაცი არ მინახავს, — იტყოდა ხოლმე გოგია, სვიმონის მწარე სიტყვებისაგან გულ დამწვარი: — ხან იტყვის კაცი, რომ ამისთანა ღმერთსა სხუა აღარ დაუბადიაო, ხან კი თითქო ქრისტენის ხარჯს ამას სთხოვენენ, ისდე ებინება.

სვიმონთან ლაპარაკში კაცი ძნელათ თუ მოვიდოდა. თუ დაატყობდა კაცსა, რომ იმისი აზრი ამის აზრს არ უდგებოდა და აპირებდა თავის აზრის გამართლებასა, სვიმონ ისეთს მოჰკრილს პასუხს ეტყოდა, რომ სულ დავდარიგსა და ლაპარაკის ნიჭს უკარგავდა. რადენჯერ თურმე ცემა დაუპირეს ამას თავის მოსხეპილი სიტყვებისათვის.

— ვაჰიმე! — იცემადა გულში ხელს სვიმონის სიტყვებისაგან გულ დამწვარი და შერცხვენილი ერთი ამისი ნაცნობი აფიცარი, რომელიც სწავლითა და ჭკუით იყო განთქმული თავის ტოლებსა და თანამოსამსახურებში; — დამაცალოს!... მამ მე კაცი არ ვყოფილვარ!... საქრისტენოთ დურაკათა ჰხდის კაცსა...

არ ვიცი სვიმონს ეს ოფიცარი საიდამ გაცნო და იმან პატარას ხანს ხშირათ დაიწყო აქ სიარული, როგორც სვიმონი ამბობდა, ენის მოსაქავებლად, მინამ სვიმონმა თავისის ტკბილი სიტყვებით სრულებით ბევრისხეებივით, ბოლო არ მოუღო იმის დაუსრულებელს და უთაებოლო ბასსა და არ ამოაკეთინა ამასაც ფეხი. ამას ძალიან უყვარ-

და მაღალს საგნებზედ ლაპარაკი და როგორც წესია მო-
დის ლიბერალებისა, ხშირათ ლაპარაკობდა ქალების ემანსი-
პაციზედ, ავინებდა მამა კაცებსა იმათის უსამართლოთ ქა-
ლების მოპყრობისა და დამონაგებისათჳს.

— უსინილისონი არიან მამაკაცები, დესპოტები არიან!—
ცხარობდა ხოლმე ისა;—რა კანონით, რის უფლებით ეპყრო-
ბიან ისინი ასრე უსამართლოთ ქალებსა? აბა მიჩუპნონ ამა-
ზედ გინდ ბუნებისა, გინდ სხუა სიმართლის კანონი...

—*Дитя не плачет—мать не разумѣетъ!*...

ეუბნებოდა სვიმონი, იმ კილოთი, თითქო ლაპარაკი არ
უნდაო;—რათ ემონებიან და რათ ატყუებენ თავსა!... თუ
ხელამენ უსამართლობასა, უსამართლობის წამალი ძალაა, თუ
ძალი არ არის, ან არ გამოდგება, იქ ხერხი და ოსტატო-
ბა იხმარება...

სვიმონს არ შეეძლო თავი შეემაგრებინა და თავისებურის
მოსწრებულისა და ცხარის სიტყვით შიგ ძირში არ მოეთ-
უთქა გული იმ გვარი კაცისათჳს, რომელსაც შეატყობდა
რომ ის ენის მოსაფხანათა ლაპარაკობდა, ან ლაპარაკობდა
მარტო მოდის გულისათჳს, თითონეი გულში სხვეზედ უა-
რესი იყო და რასა ლაპარაკობდა და რას არა თითონაც
არ გაეგებოდა.

— არა, იჯარით ხომ არ ამიღია თქუტსნი ლაპარაკის ყუ-
რის გდება?—ეტყოდა ხოლმე ის ამ გვარ ხალხსა.

ან რაკა დაატყობდა, რომ ლაპარაკს აღარ ასრულებდნენ
და წყალი ნაყესა ლაპარაკობდნენ უცება ჰკითხავდა.

ისა ბრძანეთ რაც სათქმელი გაქუთ. ან ჰკითხავდა, — რითი
თავდება ეგ თქუტსნი ლაპარაკი? "

რასაკვირველია ამ გვარის ქცევით და პასუხით კარგ კაცათ არ ეჩვენებოდათ სვიმონი იმ გვარს კაცებსა, როგორც ზემოთ მოყვანილი ნასწავლი აფიცარი და მალე შემოიფანტავდა ხოლმე წყალი ნაყე ნაცნობებსა.

მე მინამ შევეჩვეოდი სვიმონის ხასიათსა და გავიცნობდი იმას მოკლეთა, ვხამუშობდი ზოგჯერ იმის მოწყვეტილს პასუხებსა, მეტადრე, როდესაც იმას თავისი ნაღველი აემლებოდა ხოლმე.

თუ გვინდა, რომ გავიცნოთ საიღამ შესდგა სვიმონის ამ გვარი ნაღველიანი ხასიათი, საჭიროა, რომ მცირედი თვალი გადავავლოთ იმის სიყმაწვილესა და თავის გადასაველებსა.

3.

სვიმონის დედამა იყვნენ კარგი შემძლებელი მებატონენი * * მხარესა და სვიმონის მეტი შული არა გააჩნდათ რა. გივი ბაღლაძე (სვიმონის მამა) იყო ძველი ღროს კაცი, ძველი ქართველი; მაგრამ რუსობაში თავს ძალიანა სდებდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ამის სიჭაბუკეში, რომელღასაც მთავარმართებელს გადაეყვანა ეს რუსეთს სამხედრო სამსახურში. მამინ ხშირათა ჰგზავნიდნენ ხოლმე ჩუპნი მიწაწყლის შულებს რუსეთში, ისე სამსახურისათვის არა, როგორც საჩვენებელათა. გივიმ იქ სამსახურში გაიცნა მარტო იკაური მებატონების ცხოვრება და ქცევა. როგორც სხუა, ბევრს ჩუპნს მებატონეთაგანს აქუთ მაგალითათ რუსეთის მებატონების ქცევა და ცხოვრება; რასაკვირველია, გივის უფრო ემართათ ამ მაგალითების მიბაძვა. „სხვებს რუსეთი სიზმარშიაღ

არ უნახავთ, — იტყოდა ხოლმე ის ტრაბახითა; — და მე მთელი რუსეთი სულ დამივლია, ისე ვყვანდი მამაჩემი არ წამიწყნდება მიღებული იქაურს დიდკაცობასა და ქალებსა, რომ როგორც კარგი დიდი ვინმე...“ თუმცა ეს იმდენს ხანს იყო რუსეთში და იყო მიღებული დიდკაცებისა და ქალებისა გან როგორც ერთი დიდი ვინმე, მაგრამ არამცთუ რუსული წიგნი და ლაპარაკი არ იცოდა ხეირიანათა.

გივიმ დაჰყო ერთი შვილიოდე წელიწადი რუსეთში და მერე გადმოვიდა ისევე საქართველოში. აქ ჯერ კიდევ დიდს ხანს იყო სამხედრო სამსახურში მინამ, მაშინდელი ქართველების სანატრელის, მაიორის ჩინამდინ არ მიაღწია. რაკი ამ ჩინს ეღირსა და შეისრულა გულის წადილი, მეჩუცი შეუდგა ფექრსა, რომ ახლა მშვიდობიანი და შემოსავლიანი ადგილი ემოვნა, სადაც ეცხოვრა თავისთვის მოსვენებითა. გივის აქაც მალე შეუსრულდა გულის წადილი. იმას მისცეს თავის ერთგულისა და სასარგებლო სამსახურის ჯილდოთ ნაჩაღნიკობა თავისსავე უფლში.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ამ გვარი შემთხვევა, როგორც ყველამ ჩუპნგანმა იცის, ძალიან სასარგებლო და კაცის ფეხნედ დამყენებელია. თუმცა სხტაში ღმერთმა ბევრი არაფერში ნიჭი არაში მისცა, გივი ბაღდაძესა, მაგრამ ამ შემთხვევაში კი, ღმერთმა წუ დაგილიოს იმისთანა ნიჭიერი და დახელოვნებული კაცი. დღესაც დაუვიწყარია იმ უფლში გივის ცოდნა ამ საქმეში. მოკლე ხანში გივიმ შეიძინა დიდი საზრდო. გივი ამ მართლათ თქმულს მოციქულის სიტყვას ადგა: „შიმი შეიქს სიყ-

ვარულსაო“ და ისრეთი შიმის ზარი დასცა მთელს უეზდსა, რომ ამის მოსვლას, როგორც ომარ, ავარეთის ხანის შემოსევას, ისრე ელოდნენ. გივის არ უყვარდა დიდ ხანს საქმის ჩიჩინი. რამწამს მივიდოდა სადმე სოფელში, მამინვე, ხმა ამოუღებლივ, წაქცევივბდა მამასახლისს და სულ ტყავს აძრობდა. „ესენი თუ მე . . . არ დავწრთენეო,--ამბობდა ისა,--ამათგან ხეირი არ იქნება და კაცის პატივის ცემა არ ექნებათო.“ მამასახლისის შემდგომ, მერე ვინც შეხვედებოდა, მამინვე როზგვემ ამოუყოფდა თავსა. ჯერ მოჩივარსა სცემდა და მერე იმასა, ვისაც უჩივოდნენ. ამ გვართ იმან მოსპობევრი საჩივარი თავის უქმში და ათასში ერთხელ თავდაზნაურები ლა თუ ბედადნენ საჩივარსა, თორემ სხვებიკი ველარა კადრულობდნენ. რასაკვირველია, გივი ისრეთი უფუნური არ იყო, რომ არა სცოდნოდა, ცემა რა ღროს ან ვის უნდოდა. ვინც გივის პატივისცემა იცოდა, იმათ არამთუ როზგსა, ცავს ნიავსაც არ მიაკარებდა. და თუ არ იცოდნენ ამისი პატივისცემა, მამინ ამისი ბრალი აღარ იყო, ვინც უნდა შეხვედროდა, გარჩევა აღარა ჰქონდა; ხშირათ თავდაზნაურებსაც უთავაზებდა ხოლმე პატივისცემის სასწავლებელს წამალსა.

რასაკვირველია, გივიმ მალე გაიგდო სახელი და შეიძინა მრავალი პატივისცემა. ახლა ყოველიფრით გივის სრული გული ჰქონდა. მაიორობა ფული, პატივისცემა, კარგი ყმა და მამული; გული ს ი ს ხ ლ ი ს ჯ ვ რ ე ბ ი თ სავეს, მეუფროსების სიყვარული, სრული და მეტი რალა ბედნიერება იქნებოდა კაცის თავსა! მაგრამ ერთი რამ აკლდა, რომელიც ხშირად, ძალიან ხშირათ აღონებდა გივისა. ვინ იცის

შენც რამდენჯერ დაუღონებინარ ამ ფიქრსა მკითხველო!... გივის არა ჰყვანდა შკლი, და ხუმრობაა, რომ შემძლებელს და მერმე ისრეთს შემძლებელს და სახელის პატრონის ქართველს კაცსა, როგორც გივი, არა ჰყვანდეს შკლი და უშკლოთ გადაეგოს! ეს ჩუპნი ქართველი კაცისათვის ყოველს ღუთის რისხვაზედ უფრო ღუთის რისხუა. „ვის უნდა დარჩეს ჩემი ყმა და მამული, ჩემი ქონება, ჩემი სახელი!“ ჰფიქრობდა ხოლმე ხშირათ გივი მწუხარის გულითა. „ნეტავი ქალი მაინც არის მოცა იმ დალოცვილს ღმერთს ჩემთვის.“ გივიმ ყოველი ფერი საექიმო ღონისძიება მოღალა, რომ იმისი ცოლი დარსულებულყო. აღარც რუსი, აღარც ქართველი გამოჩენილი ექიმი აღარ დარჩენია, რომ არ დაეყენებინოს თავის ცოლისათვის, მაგრამ ყოველი ღონისძიება რჩებოდა ამაოთ. ბოლოს ასწავლეს გივის ექიმი დედაკაცი, რომელსაც ყველანი კუდიანს ეძახდნენ. რათ ეძახდნენ ამ დედაკაცს კუდიანსა, თითონაც არ იცოდა. მართალია კარგათ არჩენდა ავამყოფსა; მაგრამ კუდიანობისა სრულებით არა გავგებოდა რა, მაგრამ ეს სახელი შეფერებულიცა ჰქონდა ამ დედაკაცსა. დადიოდა სოფლებში ხმა, რომ ვითომც ეს კუდიანი თინინა ყოველს დიდს ოთხშათათს ღამე (ესე იგი კუდიანობის ღამესა) კენტილა ამოცხებული ჯდებოდეს როდინის ქვაზედ და მიფრინაედეს იალბუზზედ ტარტაროზთან ხარჯის მისატანათა, და ვითომც წამლობას იქ ემშაკებისაგან სწავლობდეს. ეს ხმები ესმოდა თინინასა და ხშირათ ეღანდებოდა სიზმარში იალბუზი, ტარტაროზი თავისის საზარელის დიდის კბილებითა, ემშაკები და კუდიანები და კიდევ ვინ იცის რა, და ხშირათ იჭვმი შედიოდა, რომ იქნება მე

სიზმარი მეგონოს და ცხადლიეკი ეხედავდე ამაებსაო. მაგრამ როდესაც ინახავდა, რომ კული არა ჰქონდა, მამინკი რწმუნდებოდა, რომ კულიანი არ იყო. თუმცა გივი, როგორც წესის დამცველი და პატიოსანი უფნდისა, ეალათა რაცხავდა ყოველი კულიანებისა და არა წმიდა ხალხის (იმათ შორის ურიების) დევნასა; მაგრამ აქ მეტი ხარა აღარ იყო, უნდა მიმართოდა კულიანსა და დამორჩილებოდა ამ გვარს უწმინდურს საქმესა. მაგრამ ამ ცოდოს მოსანანიებლათ აღუთქუა თავის სოფლის ახლათ დადგმულს ეკკლესიას, ხომლი და კანკელი თავისის ფულითა.

— ვაი შენ გინდა, — ეუბნებოდა გივი კულიანს თინინასა, — თუ ემაგ შენ ჯადოჭრობით არა გვიმველეკრა! მამინ მიყურე შენ სეირსა!... ემაგ კულს შიგ ძირში მოგჭრი და ზედადგრით დაგიდაღავ, რომ თავის დღემი ველარა იყულიანორა, და მერმე ზედ დადალულზედ სულ გაგაჭრელებ... გესმის!

ამ კულიანმა თინინამა დაუწყო ეფემიას (გივის ცოლი) ჯერ წამლობა. ასმევედა რალაცა წამალსა, რომელსაც ეძახდა ლეკორტს (დეკოკტი), უბოლებდა რალაცა საბოლებელსა ქვეშაგებში. მერე გააგზავნინა წყლებზედ, რომლებიც იქვე მახლობლათა ჰქონდათ. აქ, ბანების შემდგომ, აწვენდა რალაცა წამლებში, ადებდა წელსა და მუცელზედ რალაცა ფაფუფუფაებსა და უდგამდა, თბილათ დახურულს საბანს ქვეშ რალაცა ბუღსა. როდესაც ბანებაცა და წამლობაც გაათავეს, დაბრუნდა ეფემია შინა. არ გავიდა ბევრი ხანი, რომ ეფემია მართლა დაორსულდა. ამ ამბავმა ისრე გაახარა ეფემიაცა და გივიცა, რომ ერთი თვე სულ სალოცავებზედ ია-

რეს მადლობის შესაწირავათა. მაგრამ კუდიანს თინინას თავის შრომისა და კურნების ფასიკი არ მიეცა.

—კიდევაც მადლობელი იყავ, რომ მე შენ კული არ მოგჭერი,—უთხრა ამას გივიმ მრისხანეთ, ფულის თხოვნაზედა; —ამას იქით კიდევ თუ გამოგონია შენი კუდიანობა და შენი სახელი, ვაი შენს ტყავს უნდა,—გველივით გაგაჭრელებ.

ეფემიას ჰქონდა საკვირველი ცული გუნებნაქცეობა. დაიწყო ავგულობა, დააწვა რალაცა დარდი და სენი გულზედა. საჭმელები, გარდა მჟავისა, ყველა შესძულდა და შეექნა სხტა ნაირი ახირებული ნდომა. ზოგი ერთი ისრეთი რამ უნდებოდა ხოლმე საჭმელათა და სასუნებლათა, რომელიც უიმისოდროსა, ერთის დანახვით გულს აუტრევდა ეფემიასა. ამას გარდა შეექნა ერთი რალაცა აჟინებული ხასიათი და რაც გუნებში გაუვლიდა, მინამ არ აისრულებდა, მინამ არც ღღე და არც ღამე გული არ მოუსვენებდა.

ამდენი მწუხარებისა და შრომის ნაყოფი იყო სიმონი.

რალა თქმა უნდა, რომ გივი აქ გამოიჩენდა ყველას თავის დიდებასა, რომ ბაგმევი ნებიერთა და დიდკაცურათა გაზდილიყო. მიუხინა სხტა და სხტა ძიძა, გამღლები და ვაი იმათი პრალიცა, თუ ერთი ბეწვა ტირილს გაიგონებდა ბავშვისასა. რამწამს პატარა გონებზედ მოვიდა ბაგმევი, იმას აუსრულებდნენ ყოველ რიგს საწადელსა და სურვილსა. გოგობიჭი ისრე დაამონეს სახლში, რომ იმათ ისრე დიდი ბატონებისა არ ემინოდათ, როგორც ამ უსუსურის ბაგმევისა. როდესაც სვიმონმა დაიწყო ტოლებში სირბილი და თამაშობა, იქაც ყველა ტოლებს უხდიდნენ მონებათ; ვინც ან

გააჯავრებდა, ან მოერეოდა და ატირებდა, გივი თავისს ნა-
ჩაღნიკურს გავლენას აქაც იჩენდა უსუსურს ბავშვებზედა და
იქვე სვიმონის წინა როზგავდა იმის წინააღმდეგებს, ან თუ-
თონ სვიმონს თავისის კელით აცემინებდა.

გივის ჰყვანდა ბევრი ძალიან ღარიბი ნათესავეები და რა-
დგან ესა ჰრაცხავდა თავის თავს თავის ნათესავეების მფარ-
ველათ და მწყალობლათ, ამისაგამო, რაკი სვიმონი მოესწრო,
ამის გასართობათ და ნათესავეების შესაწევნლათ, აიყვანა იმათი
შვილები შესანახავათ და პირდებოდა რომ მერე სწავლამიაც
მისცემდა იმათა. აბა, რალა თქმა უნდა, რომ ნათესავეებმა
ბედნიერათ შერაცხეს თავისი თავები, რაკი იმათი შვილები
შეიქნებოდნენ ღირსნი ამ გვარი დიდკაცის სახლში ყოფნისა.
გივიმ იცოდა თავისი ღირსება და რასაკუზველია, დიდი და-
მცროზა იქნებოდა ამისთვისა, რომ თავისი ღარიბი ნათესა-
ვის შვილები შეენახა თავის შვილთან თანასწორათა. ამისგამო
ამას ისინი ჰყვანდა მოსამსახურებთან დღეცა და ღამეცა. გი-
ვი ამასაც კარგა გრძნობდა, რომ ის ამითი დიდს სიკეთეს
უშვრებოდა როგორც ნათესავეებს, ეგრეთვე შვილებსა და ამას
ხშირათ აგონებდა პაწაწებს, მეტადრე თუ ერთი ბეწვა ან
იცელქებდნენ, ან თუ ღმერთი გაუწყრებოდათ და სვიმონს
გააჯავრებდნენ. ამ საყვედურთან არ აკლდათ ამათ ცემაცა,
რომ არ დავიწყებოდათ დიდი სიკეთე თავის კეთილის მყო-
ფელის ნათესავისა და ჰქონდათ ყოველთვის გულში ამისი
სიყვარული და შინი. როგორათაც გივი და იმისი მეუღლე
არ აკლებდნენ ცემას და ტუქსვასა, ეგრეთვე მოსამსახურე-
ბიც აცნობებდნენ ამ ბავშვებს თავსა, რომ ესენი იყვნენ დიდი
გივი ბაღლაძის მსახურ-მოახლენი. სვიმონი ხომ, როგორც

სათამაშოს რასმე, ისრე ეპყრობოდა ამ ბაგშებსა, და რასაც დიდებისაგან ჰხედავდა, ერთი ორათ ეს უარესს უშვრებოდა.

ამ გვარს ზღაში და ცხოვრებაში სვიმონი შეიქნა თავის-
ნება ხასიათისა და დაიწყო ჭირვეულობა. თუ რასაც მოი-
თხოვდა ან ისურვებდა და მაშინვე არ შეუსრულებდნენ, ის
დაიწყებდა საშინლათ ტირილსა და ღრიალსა და ზოგჯერ
ისრე ჩაბყირდებოდა ხოლმე, რომ ძლიეს ასულიერებდნენ
წყლითა და სასუნებლებითა. ამ გვარმა სვიმონის ხასიათმა
ცოტა არ იყო შეაწუხა იმისი ძვირფასი მშობლები, მაგრამ
ჯერ კიდევ მოთმინებაში იყენენ, რომ არ ეწყენინებინათ
ღმერთისათვისა, რომელმაც ამ ერთის შვილის ღირსიც ძლიეს
გაჰხადა, მაგრამ რამდენიც იზრდებოდა სვიმონი, იმდენი უფ-
რო და უფრო მოუთმენელის ხასიათისა ხდებოდა, იმდენი
უფრო შეუკავებელი თვსება შეიქნა, იმდენი უფრო შეაწუხა
მშობლები, მამინ შეუღდნენ ამის სწავლის თავდარიქსა, რომ
ეგება აქ ოსტატმა ცოტაც არის შეაკავებინოს ხასიათიო.
ამის გამო ამათ დაუჭირეს ერთი უწბდის სასწავლებელის
მასწავლებელი, რომელიც უფრო მცოდნე ეგულებოდათ.
კარგი მასწავლებელიც ხომ მოგეხსენებათ, ის არის, რომე-
ლიც უფრო ავათა და სასტკაათ ეპყრობა შეგირდებსა. მაგ-
რამ ის ჯერ კიდევ ვერა ბედავდა სვიმონის როზგით ცემას,
რადგანც ეხათრებოდა იმი'ა დედმამისა, რაკი იცოდა რომ
ისინი ამას ძალიან ანებებდნენ. სხვაფრეგვი თავის ცოდ-
ნას ძალიან იჩენდა: თითოს ისეთსა გაჰბღვერამდა, და ისე-
თსა შეუტყედა, რომ სხუა უსვიმონო ბავშვსა ელექ-მელე-
ტი მოუვიდოდა, მაგრამ სვიმონს ამისთანა ყვირილისა და
ბღვერისა არ ემინოდა. სვიმონი პირველში უფრო მოხათრებით

უყურებდა ამას და რაკი დაატყო, რომ ეს ებატონება სეიმონს, მაშინ იმან აიბუა თავისი მეცნიერი ოსტატი და ძლიეს მოჭგვირდნენ ხოლმე იმას სასწავლებლათა, მაგრამ ერთს მასწავლებელი ეტყოდა, ათს სეიმონი მიუგებდა. ოსტატმა დაუწყო ცოტ-ცოტათი ქიმუნჯების და ქიმტების თავაზობა. სეიმონი, სამაგიეროდ, წიგნი მოხვდებოდა, თუ ქუთა მოხუდებოდა, ჯოხი მოხვდებოდა თუ რაც უნდა შეხვედროდა ხელში უთავაზებდა ხოლმე სანაცვლოთ თავისს დაბაისელს ოსტატსა. მაშინ ოსტატმა გამოითხოვა ნება გივისაგან სეიმონის როზგით ცემისა. გივის დიდი ხანია როზგი ფიქრში ჰქონდა, მაგრამ ეფემიასი ემინოდა — იცოდა, რომ ის თავს გადაიკლავდა, და რაკი ახლა თვითონ მასწავლებელმაც დანახა ეს საჭიროთ, მაშინ გივიმ სიხარულით დასცა დასტური. „მაგათი წამალი როზგია!—ამბობდა დაწმუნებით გივი, რომელმაც მოიგონა თავისი განათლებით ყოფნა რუსების მებატონებში,—თუ ბავშვი როზგ ქვეშ არ გაიზარდა, თავის ღლეში იმისგან კეთილი არა იქნებარა! აი რუსის მებატონების შუკლები!... ისინი რათ გამოდიან ვგრეთი კარგები?—იმიტომ რომ იმავე ყმაწვილობიდანვე იზრდებიან როზგსა და დედამამის შიშ ქუტსმა!“

სეიმონმა რაკი იგემა ერთხელ მშტსნიერი სამეცნიერო გემო ყოველად მეცნიერის ნერგის წკვლებისა, ისეთი დაფთხვა, რომ რამწამს დრო მოვიდოდა ოსტატის მოსვლისა, ან რამწამს გაიგონებდა გაჯავრებული მამის ხმას, იმ წამსვე გაჰქრებოდა ისეთს ალაგს, რომ არავინ იცოდა სად იყო და სად არა... მასწავლებელმა, რაკი ერთი ხელი მოითხო სეიმონის უმორჩილო ტიტველა ტანზედ, მერე მიჰყო კე-

ლი და ყოველს უბრალო საქმეზედ ამოუყოფდა ხოლმე როზგ ქვეშ თავსა და მანამ სცემდა, მანამ არ შეეხვეწებოდა, ან მინამ არ გადაათქმევინებდა თავის ნათქვამს. სვიმონ როზგ ქვეშაც არა ტყდებოდა დიდხანობამდინ, მანამ შეეძლო მოთმინება და რაკი მეტის მეტი ტკივილი შეაწუხებდა და გადასთქუამდა თავის ნათქუამს, მაგრამ რამწამს აუშვებდნენ, ჩაიცვამდა ტანთა და დაინახავდა გაქცევის გზასა, ისეც თავის სატყუანზედ დადგებოდა, აგდებდა წიგნებსა და მოსცხრილავდა საითმე ქუდ მოშვლებილი.

სვიმონს უარესი და უარესი უყვეს. ამას შესძულდა თავისი სახლი და რამწამს მოიხელებდა თავსა, ვინ იცის საითკენ მოსცხრილავდა ხოლმე და სად იმალებოდა. ქალაქში ბევრს ებრალებოდა ეს მეზობელს გლეხის დედაკაცებს და ხშირათ მალავდნენ ხოლმე ამას, სვიმონს შეუყვარდა ისინი და რასაც მოიხელებდა უზიდავდა იმათა და ამათ ბავშვებს სახლიდამ საჩუქარსა. ხშირათ არ იცოდნენ სად იყო სვიმონ სადილ ვაწმამთა და მწუხარებით ეძებდნენ. სვიმონიკი ამ დროს ერთ ვისმე გლეხ ბებერ დედაკაცთან იჯდა და გემრიელათ შეეკცეოდა გამხმარ პურის ქერქებს და უნიგზო ლობიო შეჭამადსა. სვიმონს ისრე შეუყვარდა ეს საწყალი გლეხის სახლობები, სადაც ამას აძლევდნენ მშვიდობიანს ბინას, რომ როდესაც უპოვეს ამას დედ მამამ სამალავი, ეს კიდევ ვერა შორდებოდა ამათ, მანამ ამის თვალწინ ერთი ბიაბრობა არ აჭამა ამ საწყალს დედაკაცებსა და პოლიციამი არ ჩასმევიანა ესენი გივიმ. სვიმონი რომ ამ თავის მამის უსამართლობას ჰხედავდა თავის შემნახველს დედაკაცებზედ და იმათს შკლებზედ, მოსდიოდა

ბრანდი, და თან და თან უფრო შესძულდა მამა და უკვირდა, რომ რატომ ისინი არ უღებდნენ ხელსა და პოლიცია რატომ მარტო ამის მამას უგონებს და იმ საწყლებსი არა. „ისინი უფრო კარგი ხალხი არ არიან!“ ჰტიქრობდა სვიმონ თავის გუნებაში.

სვიმონს შეეკრა ახლა სამალავი გზაცა, და ჯავრობა და ცემა-ყოველ დღე ემატებოდა. რაჟი სვიმონი ველარას განდა ძალით, და აღარც დამალვა და გაქცევა გაეწყობოდა, იმან მიმართა კელი თავის სიტყვების ძალასა და სიტყვებით უმწერებოდა ის სამაგიეროს თავის მტრებს და თითოს ისეთს მწარე სიტყვას ესროდა იმთა, რომ სულ გულ მუცელს ჩასთუთქავდა ხოლმე. სვიმონის ფარ ხმალი შეიქნა სიტყვები და თითო იმის სიტყვას და პასუხს ცემა ერჩინათ ამის წინააღმდეგებსა.

აჟ რომ ამ შეწყუხებასა და ნიადაგ ცემაში იყო, შინ ჩუმათ უყვავებდნენ გოგო ბიჭები და ეგრეთვე სიბრალულით უყურებდნენ ამას ის თავისი მონათესავე ბავშვები, რომელთაც ეს სათამაშობსავეით უყურებდა. ახლა ამ თავის გაჭირვებულს დღეში შეუყვარდა ამას ისინი და ნაცემი მიდიოდა ამათთან და გოგო-ბიჭებთან გულის დასამშვიდებლათ და გასართობათ. ახლა ესენი შეუყვარდა და სულიც აღარა შურდა ამათთვისა, და რაც შეხვდებოდა, ან რასაც მისცემდა დედ მამის ჩუმათ, ეს მოდიოდა და უყოფდა თავის ტოლყმაწვილებსა და გოგო ბიჭებს. ეს აღარა შორდებოდა ამათ, აღარც დღე და აღარც ღამე. ეს ამითი უფრო და უფრო შეუყვარდათ, როგორც გოგო-ბიჭებსა, ეგრეთვე ღარიბ ნათესავეების შვლებსაც, და რალა თქმა უნდა, რომ იმათში

შეიქნა უფრო მოკლე კავშირი. მაშინ მხოლოდ დაინახა და იგრძნო რომ ესენი არიან უსამართლოებაში. ის აქ ჰხე-
 ჰდავდა როგორც საძაგლათ და უღმრთოთ ეპყრობოდა ამი-
 სი დედამა როგორც გოგო-ბიჭებსა, ეგრეთვე პატარა თა-
 ვის ნათესავეებს და სტკიოდა იმათთვის გული. „რატომ არ
 წახვალთ აქედამ, ან არ გაექცევით?“ ჰკითხავდა ხოლმე ის
 ამათ, როდესაც დაინახავდა ამათ თავის დედამისი ცემისა
 და ჯავრობისაგან შეწუხებულებსა; „თქვენც ხომ ამათი შუ-
 ლები არა ხართ! ან ჰკითხავდა ხოლმე კიდევ ის გოგო-ბი-
 ჭებსა გაცუებული: „რატომ თქვენც არა სცემთ მამასა,
 თქვენ ხომ დიდები ხართ და ვერ მოგერევიან?!“

გადიოდა ხანი და ვერცარა გივიმ, ვერცარა იმისმა მეც-
 ნიერმა ამორჩეულმა ოსტატმა ვერა გააწყესრა სვიმონთან:
 იმას ჭირივით ეჯავრებოდა წიგნის დანახვა, შეეჩვია ცემას
 და სიტყვები თან და თან უფრო გაიმახვილა და აღარ აძ-
 ლევდა ამათ მოსვენებას. ისინი რომ ტკბილად და აღერ-
 სით ეალაპარაკებოდნენ, ეს ისეთს მწარე მწარე სიტყვას
 მიართყავდა შიგ გულში, რომ თოფი ეკრა ის ერჩინათ
 ხოლმე. ამისი სახლში შენახვა და მოთმენა აღარ შეიძლე-
 ბოდა. მაშინ შეუდგა გივი იმის სასწავლებელში გაგზავნას
 და დაუპირა რუსეთს კორპუსში გაგზავნა, რადგანც ამას იმა-
 ზედ მალლა სასწავლებელი აღარ ეგონა. მაგრამ ეფემიამ
 თავი გადაიკლა, რომ მაგის აგრე შორს გაგზავნას ვერ ავი-
 ტანო. მეტი ღონე აღარ იყო, გივიმ მისცა თავისი სვიმო-
 ნი ერთს მახლობელს კეთილშობილს პანსიონში..

სვიმონი აქ მალე ამოითვალწუნეს პანსიონის მეუფროსე-
 ებმა, სვიმონი არამცთუ არავის არ უთმენდა თავის თავზედ

მოყენებულს უსამართლობას და თავისის ცხარის სიტყვებით სისხლს ყელში ჰკერიდა უფროსებს და ის კიდევაც ესარჩლებოდა ხოლმე ყველა თავის ტოლებს, რომელნიც შიშით ხმას ვერა სცემდნენ უფროსების ყოველ რიგს ბიაბრობასა და უპატიურობაზედ. იქამდინ შეაძულა სვიმონმა უფროსებს თავი, რომ ერთმა ზედამხედველმა (**Надзиратель**), რომელიც იყო სალდათთაგანი და ბოლოს ჩინი მიელო, ამას თავისის უხამიანის სიტყვებისათვის ერთხელ ორთავ ყურები ნახევრობამდინ აახია, და ინსპექტორმა იმდენი სცემა როზგით, რომ მთელი ორი თვე უგონოთ იწვა სააეთმყოფოში. ბოლოს ამ სასწავლებლის დირექციამ გამორიცხა სასწავლებლიდამ, როგორც მანვე მთელის სასწავლებლისათვის და მიუფროსეთ შეუპოვარი ყმაწვილი, და აცნობა გიგს ბაღლაძეს, რომ წაეყვანა თავისი შული სასწავლებლიდამ; მამინ გივიმ აღარცკი ჰკითხა ეფემიას და გაისტუმრა რუსეთს * * * ლიცეიში, რადგან კორპუსში გაგზავნის დრო აღარ იყო.

სვიმონს არ უყვარდა უქმათ ყოფნა და ის ყოველთვის უთუოთ რასმე აყეთებდა. ის კითხულობდა ბევრს წიგნებს, მაგრამ ძვირათ თუ სასწავლებელს წიგნებს, რომელსაც კლასებში ასწავლიდნენ, ხელში აიღებდა. მინამ პანსიონში იყო, მოულობდა რაცალას გასართობ მოთხრობაებს, ზღაპრებს, ლექსებს და ისრე ამბებს კითხულობდა. როდესაც გადავიდა ლიცეიში, იმან მალე მიჰყო რიგიან საკითხავს წიგნებს ხელი და დაუდო სწავლასაც თავი. როდესაც წიგნებით მოილაღებოდა სვიმონი, უეჭველათ ან ჩხირ კედელაობდა სადმე რასმე, ან მართავდა სხტა და სხტა დაწყობილებებ ამხანაგო-

ბაში და ყოველს დაწყობილებასიგი უეჭველათ მოთავე ეს იყო. თუმცა ამხანაგობაში ყოფნა უყვარდა და კიდევ უყვარდა ამხანაგები, მაგრამ ძნელათ თუ ვისმე დაუახლოვდებოდა. ამის დაღვრემილს სახეს, გაუცინარს პირს, და ცხარს სიტყვებს ერიდებოდნენ ყველანი და ათასში თუ ვინმე დაუახლოვდებოდა ამასა, მაშინაც სვიმონი თუ ერთი ბეწვაც არის ცუდს ზნეს და თვისებას შენიშნავდა, ისრეთი სიტყვებით გაჰკიცხავდა და დასცინოდა, რომ ისინიც მალე ჩამოეცლებოდნენ ხოლმე. თუმცა ამის დაახლოვებას ყველა ერიდებოდა, მაგრამ საზოგადო რამ საქმე ამხანაგობაში უამისოთ არა თავდებოდა; ყველა ამხანაგობაში ეს ირიცხებოდა შეუსყიდველ მართლის მიქმელათ და სწორე მოსამართლეთ. ტოლემში ასრეთი იყო სვიმონი, მაგრამ პატარაებში და დაჩაგრულს ამხანაგობაში უფრო სხუა იყო. სადაც კი მიუწვდებოდა თვალი, ყველგან ესარჩლებოდა ამათ, როგორც ამხანაგებში, ეგრეთვე მეუფროსებთან. ამისაგამო აქ უფრო სხუა ფრივ უყურებდნენ სვიმონს და ესენი უფრო გაბედვით იყენენ სვიმონთან, მაგრამ მეუფროსებთან არც აქ იყო კარგათ სვიმონი. თუმცა აქაური მასწავლებლები და პრაფესორები ჰხედავდნენ სვიმონში ნიჭს, მაგრამ არც ამათ მოსწონდათ ამისი მოუხემაფი ხასიათი, მოსხეპილი სიტყვები და გაუცინარი სახე. სვიმონი ცდილობდა როგორმე აღმოეფხვრა თავისი გულიდამ ის სიძულვილი, რომელსაც ის გრძნობდა თავის მეუფროსებზედ. მაგრამ ვერ დარეოდა ამ გრძნობას. ის ყოველ თავის მეუფროსებში ჰხედავდა თავის მტერს, რომელსაც შეეძლო ყოველს შემთხვევაში გაემწარებინა ამისთვის წუთის სოფელი და მოეთელა ფეხქვეშ

ამისი კაცობრივი ღირსება და გრძნობა. ის ცდილობდა, რომ დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ ყველა მეუფროსე ისრეთი არ არის, როგორც ამას ეჩვენება; მაგრამ რამდენიც უფრო სცნობდა ეს მეუფროსებს, იმდენი რწმუნდებოდა, რომ ამისი გულის გრძნობა არ ატყუებდა ამას და თვით ის მეუფროსენიც, რომელნიც ისრე მშვიდობიანათ და მეგობრულათ გამოიყურებოდნენ, თვით ისინი სხვეშენდ უარესი იყვნენ, თავის უნცროსებს და კელ ქუტსითებთან, როცა დრო მიეცემოდათ. რაკი ეს ასრე უყურებდა მეუფროსებს და თავის ამპარტავანის ხასიათით არც თავს იღრგვდა ამათ წინა, რალა თქმა უნდა, რომ ამათ შორის სიტკობება და სიყვარული ძნელი იყო. ბევრჯელ დაუპირეს სვიმონს გამოგდება სასწაელებლიდამ თავისის ხასიათისთჳს, მაგრამ ამის ნიჳს პატრესა სცემდნენ და ცოტა არ იყო, რომ კიდეც ემინოდათ ამისი; ეი თუ არ მოგვითმინოს ამან ეს ამბავი და ბიებრობა გეჳამოსო. ბოლოს მაინც კიდევ არ ასცდა სვიმონს ეს ამბავი. რაკი პატარა წამოიზარდა, თავზედ კელი მოისვა და დაიწყო საუკეთესო წიგნების კითხვა, ეს აღარ სჯერდებოდა ლექციებში ცარიელ პროფესორის სიტყვების წარმოთქმასა და ხშირათ სთხოვდა რომ თავისი სიტყვები კიდეც დაემტკიცებინათ საფუძელიანათ. ამზედ ხშირათ ემართებოდათ ბასი ამასა და მასწაელებელსა და რაკი ძმელათ მოხდებოდა, რომ იმათ დაემტკიცებინათ და შეეჯერებინათ სვიმონის სურვილი, რასაკვრველია, სვიმონი ხშირათ შესთავაზებდა ხოლმე ამათ თავის გესლიანს სიტყვებს და ამით გამოჰყავდა მოთმინებიდან პრაფესსორები, რომელთაც თავისი თავი შეუცდომელი რამ ეგონათ. ამ გვარად ერთხელ

მოუვიდა სვიმონს შეჯახება ისტორიის პროფესორთან, რომელიც ირიცხებოდა ფრიად მცოდნე კაცად და ამისი სიტყვა სწორეთ სოლომონის ბეჭედი იყო მთელი ლაციისათვის „თქუსნ მოუმზადებლათ მოდინართ ლექციებზედ და ამის გულისათვის ჩუსნ თქუსნის სიტყვებით ყოველთვის მოტყუებული ვართო.“ უთხრა იმ ლაპარაკში ამას სვიმონმა. ამ მეცნიერმა ვერ მოითმინა ის უპატიურობა, რომელიც მიაცენა ამ სიტყვებით იმას სვიმონმა, რომელიც არა რწმუნდებოდა ამისგნით წარმოდგენილს საბუთებს თავის აზრების დასამტკიცებლათ; ამაზედ მოსთხოვა პროფესორმა სოვეტს სვიმონის გამორიცხვა ლიციეიდან. სვიმონს ხუთი თვე და აკლდა კურსის დასრულებამდინ, რომ გამორიცხეს.

ამან სთხოვა მამას ფული, რომ გამოეგზავნა სამზღვარს გარეთ სასწავლებლათ წასასვლელათ; მაგრამ უარი მოუვიდა.

“თუ შენ კარგი შკლი ყოფილიყავ, — სწერდა მამა ამასა, შენ მანდედამ არ დაგიტხოვდნენო.“

სვიმონი დაბრუნდა შინ. აქ გივი და ეფემია უპირებდნენ ამას ცოლის შერთვას, და რალა თქმა უნდა, რომ ქალებიც საკმაო იყვნენ; კარგი ოჯახის შკლები, ლამაზები და კარგი შხითვის პატრონები; მაგრამ სვიმონმა თავისებურად გადაწყვეტით უთხრა მამას, რომ ჯერ ცოლისთვის არა მცალიან და არც თქუსნს ამორჩეულს ქალს შევიერთაო.

სვიმონმა დაჰყო ერთი ოთხიოდ წელიწადი სოფელში. (გივი სამსახურში აღარ იყო) სადაც ნახევარზედ სულ გლეხობაში იყო. ის ხშირათ დადიოდა გლეხკაცების სახლებში

და უგდებდა იმათ ცხოვრებას ყურსა; დაზღვედა სალამომ-
დინ სამუშაოზედ, ღამე ხარში, ტყეში, სარწყავში და სხუა.
უგდებდა მიწებს ყურსა, დაჰქონდა მინდორში რალაცა წი-
გნები, სხრეკავდა სხუა და სხუა მიწებსა, უგდებდა ყურსა
რა მიწაში რა მოსაველი მოდიოდა, რა მიწას რა მოვლა
უხდებოდა, დადიოდა ტყესა და ღრეში დაფიქრებული და
ყოველ კლდეს, ყოველს ხეს შინჯავდა და სწერდა რა ალა-
კას როგორი მცენარე იზრდება, რა ალაგას რა უფრო ხა-
რობს, რა ალაგას რა მოუხდებაო და ხშირათ თითო კვი-
რაობით არ მოდიოდა სვიმონ შინა. „გაგვიმუჟყიდა!“ სწუხ-
დნენ გივი და ეფემია. „ეგ ერთი შუკლი მოგეცა ღმერთმა
და ეგეც აგრე გაგვიუბედურა!“ მაგრამ პირში თქმასკი ძნე-
ლათ უბედავდნენ, რადგან ეშინოდათ იმის გემრიელ პასუ-
ხებისა.

ბოლოს სვიმონი ჩამოვიდა აქ, ვითომც, მამის თხოვნით
სამსახურში შესასვლელათა, მაგრამ სამსახური ფიქრათაც არა
ჰქონდა. ის უჯდა ღლე და ღამ ფრანციკულსა და ნემენ-
ტურს წიგნებსა, მათემათიკასა და ბუნების საგნებსა და
ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ სამზღვარს გარეთ წასულ-
იყო „როდის ექნება ამ მამი ჩემის სიცოცხლეს ბოლო, —
ფიქრობდა ის ხშირათა, თორემ არც თითონ იყენებს ქონე-
ბასა არც სხუას აყენებს!“

4.

ეს ღრო იყო სწორეთა, როდესაც მე სვიმონი გავიცანი.
პირველს ღროს, როგორც ზემოთაც ვსთქვი, მანამ გა-

ვიცნობდი ჩე სვიმონის ხასიათსა, ძალიანა ვხტოდი მე იმის სიტყვეებზედა, და როგორც ეტყობოდა, ისიც კიდევ ვერ მიცნობდა მე, და მეც ის თავისებურათ მიყურებდა. მე ხშირათ ვფიქრობდი, რომ ცალკე დავმდგარვიყავ, მაგრამ როგორღაც კიდევ მენანებოდა ამისი დამორება და კიდევ მინდოდა ამეწონა, თუ რა კაცი იყო. იმისი ქცევა მე კარგს აზრზედ მაყენებდა იმის შესახება.

ერთხელ მე დავბრუნდი სალამოზედ შინ დალალული და რაღაცა კარგს გუნებაზედ ვიყავი. სვიმონი რაღასაცა სწერდა. მე დავიწყე დაბლა ღიღინი.

— ოჰო! დაიწყო გლობა!—წაიბუტბუტა სვიმონმა.

მე ვითომც არ გამიგონია,—ისევა ვლიღინებდი.

— აბა ერთი ა ბ ა ლ მ ჯ ა ნ შემოსძახე, რაღა!

— რა? კიდევ მოგიარეს!—შეუტიე მე გაცხარებულმა, ის ხომ ძნელია როდესაც კაცი კარგს გუნებაზეა და ამ გუნებას წაუხდენენ.

— რატომ! სამღერალი ბევრი გაქუხს და!... სხუა ფიქრი შენთვის რა საქიროა?!..

— ახა ღმერთო!... სიმღერაზედაც ბაჟია!...

— მე ჯერ შენთვის არა მცალიან!—გამაწყვეტინა იმანა და დაიწყო უფრო ჩქარა წერა იმ რიგათა, რომ რაც უნდა მესასუხნა, ის აღარ გაიგონებდა.

მე გავეღო ჩემს ოთახში და დავეგლე კრავატზედ. აქ გამიტაცა მე ათასწირმა ფიქრმა. პირველი საფიქრელი მე ჩემი თავივე მქონდა. ჩემი მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. რამტენიც ვაკვირდებოდი ჩემს თავსა, იმდენი უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მე რიგიანის ცხოვრებისათვის სრულებით მომზადება არა მქონდა. რას გვასწავლიდნენ,—ფიქრობდი

მე,—ჩუპსს სასწაელებელში? რისთვის დაეკარგე მთელი შვიდი რვა წელეწადი აქ ტყვილათა? რა გამოვიტანე იქილამ ცხოვრებისათვის? არც ჩემის თავისათვის, არც სხვისთვის მე გამოსაყენებელი არა ვარ... ვინ იცის რამტენი უნდა ვიშრომო ახლა, რომ კაცი შევიქნე... ახლა რამდენი დაბრკოლება უძევს ამას წინა!?...“ ყოველ რიგი ცუდი მხარე ჩემის ცხოვრებისა სულ ეხლა წარმომიდგა თვალწინა და ამირია გულში ნაღველი.

— ხომ არ გამოივლი კიდევა?—უცებ წარმომადგა თავსა და მკითხა სვიმონმა.

— დავილაღე ცოტა,—უპასუხე მე.

— მამ არ წამოხვალ? რო წამოსულიყავ იმისთანა ალაგებში შეგიყვანდი, სადაცა ღირს შესვლათა.

— მამ წავიდეთ.

მე წამოვავლე ქუდს კელი და წავედით. სვიმონმა შემიყვანა ერთს ყრუ ქუჩაში და შემიყვანა ერთ ისეთს მურტიანს ღუქანში, სადაც სიმყრალით კინლამ სულთ შეგვიგუბდა.

აქ ერთს ოთახში იჯდა ოთხი რუსი და მღეროდნენ. მეორე ოთახში ისხდნენ იმერელი მუმები.

— Какъ ты думаешь — ჭკითხა ჩუპსსკედ კრთმა რუსმა მკორეს, — Французъ или гичанинъ.

— Нѣмецъ! — უთხრა იმან დაწმუხებით.

— . . . Нѣтъ, не правда.

— А я тебѣ говорю, что — нѣмецъ.

— А я тебѣ говорю, что — неправда.

— Ты хранишь, или нѣмецъ? — მიუბრუნდა და ჭკითხა სვიმონს იმ რუსმა, რომელიც ამტკიცებდა ჩუპსსს ნემეტობას.

— Грузина, — უპასუხა სვიმონმა.

— Врешь ты! — და აქ შეუკურობს რუსმა თავისებურათ.

— А зачѣмъ же ругаться?

— Армянинъ ты соленной.

— აბა აქ სად შემომანეტე! — უთხარ მე სვიმონსა; წავიდეთ, თუ ღმერთი გწამს, თორემ ერთს ხათაბალას გადავიცვამთ.

— დაიცა! უგდე ახლა ამის ლაპარაკს ყური. **Ътъ, врешь я не армянинъ а грузинъ.**

— Армянинъ, ты.

— Неправда.

და აქ რუსმა მოიწია.

— ღანძილი არა გაქვს? — უცებ მიუბრუნდა სვიმონი მე-ღუქნეს.

— გახლავსო.

რუსი გაბრუნდა გინებითა.

ჩუტუნ შევედით მეორე ოთახში და შევატანივით ღანძილი.

— კაციელა, შენი ბატონი აქანავეა! — ელაპარაკებოდნენ იმერლები ერთმანერთსა.

— წვიდა, დეექცეს მას ოჯახი.

— რავა მორიგდით თქუტუნ?

— ვუკეთ ნუ ააშენოს ღმერთმა მისი თავი, რავაც ნამუშაგარი ფული მქონდა, სულ წმინდათ წეიტანა.

— ახლა რას უზავ შენს ვუბედურს ცოლ-მკვლხს?

— ისტე ღმერთმა დედუპოს ჩემი ბატონის თავი, რავაც დეილუპა ჩემი ოჯახი.

— აჰ! რა გვარ უღმერთოა, ჩემი ბატონისა არ იყვეს: ჯერ დამაჭენა პოლიციამი და მერე მთელი სამი წლის ნამუშაგარი სულ წამართო.

— შენ, ქე, მარტო ხარ, არცინ გაწუხებს შენი თავის მეტი. მე რა უნდა ვქნა! იმოდენა ბალები თავს მახვევია, რა პასუხი უნდა გავსცე მათ.

— ნეტამც არ იქნება, კაციელა, ხელმწიფემ მართლა ბატონყმობა გადაადგოს!

— რაფა გჯერა შენ მისთანა ვუქნელი საქმე!

— ეჰ, აწი აგრე ამბობენ, თვარა...

— კი ამბობენ მარა... დაუჯერებელი არ უნდა დეიჯეროს.

— კელმწიფე თუ მოინდომებს, კაციელო, რაფა გეუჭირდება.

— კელმწიფე რაფა მიინდომებს ლუთის დაწესებულს საქმესა!

— იქნებაკი გაურისხდეს უსამართლო ბატონებს?

— კი გოურისხდება, შე კაცო?

— იმე გაუჭირდება?!

— რაფა გოუჭირდება ერთი ყარტლიანი ჰნაურის გარისხება, მარა იცის მან გლეხკაცის უსამართლობა.

— კი! კაი მოუა შენს თავს!... მე აწი შემიტყვია, რომე კელმწიფე ჩუმათ დადის და სუყველას ამბავს იგებს.

— კი იკადრებს შენს ყარტლიანს ქონში შემოსვლას.

— იმე! ყარტლიან სახლში რაფა შევა! ისტე ჰკითხავს მართალს კაცს.

— კაი მოუა შენს თავს...

ამ ღროს შემოგვესმა მეორე ოთანში ჩხუბი. რუსები აღარ აძლევდნენ მელუქნეს ფულებსა, თუ არ ვიცი მელუქნე მეტსა სთხოვდა, რუსები იწევდნენ საცემრათა, მაგრამ ფეხხედ ღგომის თავი აღარც ერთს არა ჰქონდა. ერთი რუ-

სი ფელო კუთხეში და თავისგნით გარეკილს ბატკნებში წყე-
ყო ცხვირ-პირი, სამი რუსი ებლლარძუნებოდა მედუქნეს და
მიათრევენ პოლიციამი.

—*Пойдемъ въ полицію,* — ეწოდნენ ისინი ზარბატითა.

—*Ташиши яго... таши!* — იძახდა ბატკნებში ცხვირ წყეოთილი
ჭუსი.

—*Мене полиція—молиція ни знаим... давайъ тои денгу, послѣ
хоть губернаторъ да наидомъ.*

აქ რომ ეს ჩხუბი იყო, ერთი გამოგდებული სამსახური-
დამ ჩინოენი იდგა, თითი შუბლზედ მიედო; ცალი კელით
დალაბრას ებჯინა, უყურებდა ჩხუბსა და ლაპარაკობდა.

—*Вота! это значитъ... того...* და აქ იმან დაფიქრებით თი-
თი აიღო შუბლიდამ, თითქო ეს არის ახსნა ქაჯთა მეფის
ქალის გამოცანაო.

—*Эй землякъ,* — ელაზარაკობდა კიდევ ის, ზრ გიტი მქნსუბრებსა,
თუ ვის: *это.. примѣрно сказать.. все одно.. и таки все одно,
и.. Гррруу... вотъ, что...*

—ახლა ეს ვილას ელაპარაკება?... მიუბრუნდი მე სვიმონსა.

—თავის დარდასა და ვარამსა.

—გახეტქილია?

—ვინ იცის, დარდი და ვარამი აწევს ფულზედა და მაგ
გახეტქაში ოხშობს თავის მწუხარებასა.

—საეირველია, სადამინ მიაღწევს ზოგჯერ კაცი.

—სადამინ მიაღწევენებენ თქო!—სთქუა გესლით სვიმონ-
მა: აბა ჩაუეირდი მაგასა რითია სხვაზედ ნაკლები; ახლა
შევისწავლე მაგის ცხოვრება და ნახავ, რომ ეგ სხვაზედ
უარესე არ არის, მაგრამ რაკი ერთი მიუყინებია კაცს ყო-
ველ რიგი უბედურება, რაკი ერთი კაცი მოექცევა კაცსა და
ცხოვრებას ფეხ ქუტსა, ძველათ თულა აუღდგება ვინ იცის

მაგას თავის ნუგეში და საყვარელი ცოლმზლი რა მწუხარებასა და შეწუხებაშია; ვინ იცის რა მოთმინებასა და მდგომარეობაში ჰყავს მაგას თავისი თავი და თავისი საყვარელი, და რაკი ველარა უმველია რა, ვერ აუტანია დარდი და უპოვნია ნუგეში სასმელში, სადაც კაცი ჰკარგავს კაცურს გრძნობასა და შეიქნემა პირუცყეთ უარესი.

ჩუპნ წამოვედით ღუქნიდამა. მთვარე ამოსულიყო და ნათელიოდა. ღამე მშტბნიერი იყო.

--**Давай на воеду!**--წამოგვადგა თავს ერთი მთვრალი ოტსტაენოი სალდათი.

არც მე და არც სვიმონს ჩურღა არა გვექონდა და სმა არ გავეცით.

იმაწ შემოგვეყურთხა.

--არა, რას გვემართლება, რომ ერთი კარგები მოუხერხოს მაგას კაცმა! წარმოესტქევი მე გაჯაგრებითა.

სალდათი დაგვედევნა უკან და გვაგინებდა უწყალოს პირითა. მე ბრაზი მომივიდა.

--ღახსენ იგინოს,--მითხრა მე სვიმონმა:--ეგ მაგითი ჩუპნზედ ყრილობს ჯავრსა, რისაგანაც ეგ არის აგრე დამცრობილი და დაჩაგრული.

იმანა გვდია ჩუპნ გინებითა, მინამ სხტა არ უხვდა, რომელსაც დაუწყო ფულის თხოვნა.

მოგრიით იმას და გამოვედით სამშვიდობოსაცა. ჩუპნ გამოვედით ერთს პატარა მიეიდანზედ. ერთი პატარა ბალკონიანის სახლიდან შემოგვესმა ზევიდამ კისკისი ქალებისა. ჩუპნ შეეხებდეთ ზევითა, იქ იდგა ორი ქალი ბალკონზედ გადმოყუდებულები, და თითქო ჩუპნ არა გვხვდამენო, ხარხარე-

ბღნენ უფრო კიდევ ხმა მაღლა. მთვარიანს ღამეში ისინი სჩანდნენ ღამაშებათა.

--შენ არ იცნობ მაგათა?-- მკითხა მე სვიმონმა.

--არა, უპასუხე მე.

--მოდი ერთი მაგათაც ვეწვივნეთ.

--მერე იცნობ შენა?

--არ ვიცნობ, მაგრამ ახლა გავცდნა!

--იქნება ვინ არიან!

--არა . . .

და აქ სვიმონი შეუღდა კიბესა. მეც უნებურათ გავყევი იმას თანა. მე დამიწყო როგორღაც საძაგლათ გულმა ცემა. პირველი იყო, ჩემი ამ გვარ სახლებში წასვლა. ძველი არ არის ხამობა! მე თითონ არ ვიცოდი იმ ჟამათ რასა ვგრძნობდი გულში.

როდესაც ავედით ბალკონზედ, ქალები შინ შესულიყვნენ; სვიმონმა შეაღო კარები თითქო თავის სახლიაო და შევიდა, მეც შევეყე. მაგრამ ავენთე თონესავითა: ასრე მგონია ქვეყანა მე მიუყრებს და დამცინის მეთქი.

ორი ღამაში ფერუმარილ წასმული ქალი ისხდნენ რგვალს სტოლთანა, დივანზედ იჯდა ერთი სქელი ბებერი, ღამებ გადმოზბრუნებული და ბაყაყივით თვალებ გადმოკუჭული ბებერი დედაკაცი.

სვიმონმა ჩამოართო ხელი და დაჯდა ერთს თავის მოწონებულთან.

მე გაჩერებული დავდექ იქ შორიანლო ერთს მხატრობასთან და დაუწყე შინჯვა. მთელი ოთახი სავსე იყო მხატრობაებითა. ვინ იცის რა მხატრობები არ იყო აქა!

აბრამი, როდესაც ისაკ მოაქუს მსხვერპლათა; ტიტველა სუსანა და სხუა მშუტსნიერი ქალყრმანი, პოტიომკინი ნაბაღ-ზედ წამოწოლილი ერთს რომელლასაც ბრძოლის დროსა და სხუა.

სვიმონმა გამომიარა გვერდით ერთის ქალითა.

—შენ რალას დაგილია პირი?

მე მაინც გაჩერებული ვიდექ და არ ვიცოდი რა უნდა მექნა. მთელს ტანზედ მასხავდა ცივს ჰირის ოფლსა, გონე-ბა მქონდა ამღვრეული.

მე რომ ამ მდგომარეობაში ვიდექი აქა, უცებ გაეღო კარები და შემოვიდა ერთი მშუტსნიერი ქალი. ის იქნებოდა თხუთმეტისა, ან თექვსმეტის წლისა. გამხდარი, მინაზებული სახე, შავი, სიგამხდრისაგან ჩაცვიფნული თვალები წარმოს-თქვამდნენ რალაცა უიმედობასა და უკმაყოფილებასა. იმისი მიმოხვრა, მოძრაობა და სიარული წარმოსთქვამდნენ ხასი-ათის სიმტკიცესა.

ამის დანახვანედ მე მოვედი გონებაზედ. „დავიჯერო ესეც ამ სახლს ეკუთვნის მეთქი?“ ვიფიქრე მე.

ის მივიდა და უკმაყოფილოთ მისცა ფული ბებერს ბა-ყაყის თვალებიანს დედაკაცსა.

მე მაშინვე გამიელვა გონებაში, რომ აქ ერთი რამ უნ-და იყეს მეთქი. მე არა მჯეროდა, თუ ის უხასიათობით და სურვილით ჩაეარდა ამ სახლში.

რამდენიც უფრო ჩავაკვირდი, იმდენი უფრო შევნიშნე, რომ ის მართლაცა და მშუტსნიერი რამ იყო. შავი კუნაპე-ტი თვალები ემხით გამოელავდნენ და გამოჰკრთოდნენ, სქე-ლი ხუჭუჭი გიშვრზედ უფრო ელვარე თმა ეყარა მხრებზედა.

თუ ამისი ვითარება არ გავიგე, არ იქნება მეტყი, ვიფიქრე და მივედი იმასთან. ამაზედ იმან ერთი ასეთის თვალთ შემომხვდა, რომ თითქო მრისხანებაცა სჩანდა ამ შეხედვაში და შებრალებასაც მთხოვდა.

— ესეც თქუენს სახლს ეკუთვნის? — გვითხე მე ბებერს დედაკაცსა.

— დიახ, ხომ არ მოგეწონათ, ყმაწვლო კაცო?

მე არა უპასუხებრა, მხოლოდ წამოვიყვანე ის ქალი.

5.

მე რომ ის წამოვიყვანე, ის ისეთის ზიზლით და გაიცხვით მიყურებდა, როგორც ქართველი კნენა უყურებს თავიზედ დაბალის კაცის ცოლსა, რომელიც ცდილობს, რომ გაუტოლდეს მათს ბრწყინვალებასა. მე ისრეთი გავხდი, რომ სირცხვილისაგან ოფლში ვიწურებოდი. ეხლა რომ წარმოვიდგენ ხომ მაშინდელს ამბავსა, უნდა საცოდავი რამ ეყოფილვიყავ იმ ყოფაშია.

ის უნებურათ, საღმრთო ცხვარევით მომდევდა მე. ჩუენ რომ გავედით მეორე ოთახში, იმას შევნიშნე თვალეზედ ცრემლი და ერთი სამინელი ამოიოხრა.

მე საშინლათ ავირიე.

— მე მივირს, თქუენ როგორ ჩავარდნილხართ ამ სახლში? მიუბრუნდი მე იმასა.

— რაში გეკითხებათ! — მკითხა მე იმან გულდამწვრათა და უსიამოვნოთა: — თქუენ ხომ სიამოვნით ატარებთ თქუენ დროსა და სხვისა რა დარდი გაქეთ.

— მე გთხოვთ, მე ისრე მიყუროთ, როგორც თქვენ ძმასა. მე ძალიან მინდა შევიტყო თქვენნი ამბავი... მე არა მჯერა რომ თქვენ თქვენის სურვილით იყვეთ აქ შემოსული.

— რა გამოვიდა, თუნდ ჩემის ნებითაც არ ვიყვე? . . .

. . . და აქ წასქდა ტირილი.

მე სამინლათ შემებრალა.

— მამ რა იყო თქვენნი ჩავარდნის მიზეზი?

— მე გამყიდეს ისე, როგორცა ჰყიდიან თხასა, ცხვარსა, ძროხასა და სხუა საქონელსა.

— ვის შეეძლო თქვენნი გაყიდვა? ან ვინ გაბედავდა ამ დროში მაგ დასამცრობელს და გონების ასამღვრევს საქმეს.

— კიდევ ვგ არის, რომ დაუჯერებელი საქმეა და არცა-რაეის სხუასა მჯერა და ჩემი მოგონილი ჰგონიათ.

— მე დიდათ დამავალვებთ თუ შემატყობინებთ.

— მამ ყური დამიგდეთ, მაგრამ ჩემი ამბავი გრძელი კია.

— ერთის სიტყვით, რამოდენაც უნდა იყვეს, — უნდა მი-ამბოთ, მე ყურს გიგდებთ.

— კარგი!.. მამ დამიგდეთ ყური. იქნება თქვენც სასაცილოთაც არ გეყოთ ჩემი ამბავი, მაგრამ თუ ადამიანის გული გიძევს და გამოგივლია რამ მწუხარება, მიხედვები იმ საშინელს მწუხარებასა, რაც მე გამომივლია ჩემს სიცოცხლემში. და თუ ცოტაც არის გიცხოვრია ქვეყანაში, ჩემი ამბავი ტყუილი და მოგონილი არ გეგონება.

„ეე!-ვიფიქრე ჩემს გონებაში: — სჩანს მართლა რომ ბევრი მწუხარება და ამბავი გამოუტდია, რომ ასრე ჰქვიანურათა სჯის მეთქი ასე ყმაწვილი ქალი.“

— მე გთხოვთ, რომ ისრე მიყურებდეთ, როგორც თქ-

ჟესნს ღვიძლს ძმას, მეგობარს და მახლობელს და დარწმუნებული იყავით, რომ მე მივხვდები თქვენს მწუხარებას, და ღაფაფასებ თქვენს მდგომარეობას... მეც თვითონ ბევრი გამომიცდია ჩემს ცხოვრებაში და ვიცი, რაც მოულოდნელი მოსავალი მოდის კაცის თავსა და რა ამბავიცა ჰხდება შეწუხებული კაცის გულშია.

— მაშ მიგდეთ ყური. აი რა იყო მიზეზი ჩემი აქ ჩავარდნისა:

მ ა შ ა ს ა მ ბ ა ვ ი .

„მამა ჩემი გადმოვიდა თუ არა რუსეთიდან, განწესდა ჩვენს მხარეს (მამამ მამბო მამის ვინაობა და ისიც სადაურიც იყო) ერთს ჩვენს სოფლის მახლობლათ მყოფს ქალაქში. მამა ჩემი იყო კაი შესახედაობის ყმაწვილი კაცი. დედაჩემი ირიცხებოდა მთელს ჩვენს მხარეზედ პირველს მშვენიერებაში (ეს მხარე განთქმულია მშტსნიერებითა). დედაჩემი იქნებოდა მაშინ თხუტმეტ-თექვსმეტის წლისა. ამ ჟამათ სადღაცას ენახა მამაჩემს დედაჩემი და გადარეულიყო იმისი მშტსნიერებითა; დედაჩემსაც მოსწონებოდა ძალიან მამაჩემი, თუმცა ვერა ბედავდა თავის გულის თქმის გამჟღავნებასა.

მამა ჩემმა სთხოვა პაპაჩემს დედაჩემი; მაგრამ უარი მიიღო, „სხტა სჯულს მაინც არ მივსცემ ქალსა, თუნდა დენკრალი იყვესო!“ ეპასუხნა იმასა და ხომ მოგეხსენებათ ჩვენს ყრუ ადგილებში როგორ უყუტებენ სხტარჯულ კაცებსა..

„მამაჩემს როგორღაც მოგეგარებინა და გაეცია დედაჩემი ჯვარის დასაწერათა. პაპაჩემი მოკვდა ამ მოულოდნელის ელდისაგან (იმას კიდევ ის უფრო აწუხებდა, რომ იმისი

ახალი სიძე მარხვას არ ინახავდა, და მამასადამე იმისი ჭკუ-
ში ქრისტიანიც აღარ იქნებოდა), ბებიაჩემი კი ცოცხალი
აღარ იყო მაშინა: ძმები და დები სრულებით არა ჰყოლია
დღეაჩემს.

„მე ისევ პატარა ვიყავი, როდესაც მამაჩემი გადმოიყუ-
ნეს აქ სამსახურში. რვას წლისა მიმაბარეს მე ერთს ქალების
პენციონში, სადაც მე დავრჩი ოთხი წელიწადი; მასუკან გა-
მოაგდეს მამაჩემი სამსახურიდან და რაკი აღარა ჰქონდა
ლონისძიება, რომ ეძლია ჩემი ფული პენციონისათვის, გა-
მომიყვანა იქიდანა.

„ჯერ სამსახურიდამაც არ იყო დათხოვნილი, რომ მა-
მაჩემმა შეიცვალა დღეაჩემზედ გული, და ისრე შეიძულა,
რომ თვალის დასანახავათაც ეჯავრებოდა. რაკკი მე ჩემს
თავს მოვსწრებივარ, არ მახსოვს, რომ მამა ჩემს ერთხელაც
არის ტყბილათ გაეცეს დღეაჩემისათვის ხმა. დღეაჩემიკი, სა-
ცოდავი, სულ იმას ცდილობდა, რომ იმისთვის ესამოვნე-
ბინა და ეამებინა. რადგანაც ეფიქრებოდა დღეაჩემს, რომ
ვაითუ ეჯავრებოდეს ჩემს ქმარს ჩემი აქეთ-იქითსიარულიო,
იმან მებზობლებთანა და საყდარშიაცკი ამოიკვეთა ფეხი, მაგ-
რამ სულ ამო იყო: მამაჩემის შეცვლილი გული ვედარა-
ფრით ვერ მოიგო. ერთის სიტყვით, იმას ყველა ეჯავრე-
ბოდა დღეაჩემისაგანა, ის სდევნიდა ყოველს იმის მოძრაო-
ბასა და ნაბიჯსა. დღეაჩემმა დაუწყო რიდება, მაგრამ მამა-
ჩემი თავისის აღელვებულის გულით ყოველგანა სდევნიდა
და ეძებდა ჩხუბის მიზეზსა. „არა, რას მერიდები, რომ მე-
რიდები! სად გინდა დამემლო, რომ მემალები!—ჩააცივდე-
ბოდა ხოლმე ის უმიზნოთა, — შენ განა, შენი კუროების

მეტო არაფერს ვინდა!... რით ვერ ვაიგე, რომ მინამ არ ჩაძალღლები, მინამ ჩემის კელიდამ ვერსად წახვალ და ვერც დამემალეები... სიკვდილამდინ სულ ასრე უნდა თვალ წარბში შემომკურებდე... გესმის თუ არა! ტყვე ხარ შენ შენის ქმრისა, გეყურება... ვგრე ჩაგაღრძობ ჩემს გვერდითა და ჩემს ყურებაში... ჩაგაღრძობ!... გაიგონე!... გაცნობებ მე შენ თავსა, შენი ვინცა ვარ და რაცა ვარ!...”

„მე ამიდულდებოდა ხოლმე ამ ამბავზედ გული და უნებურათ დავიწყებდი ხოლმე ტირილსა, და რაკი გავიცლიდით მამაჩემსა, ჩამოვეკიდებოდი დედაჩემს კისერზედ და მივეკვრებოდი მწუხარე გულზედა... ერთი ჩემი ცრემლილა ჰქონდა დედაჩემს ნუგემათა... ამ გვარს ჩემს დედიჩემის სიყვარულს მამაჩემი, რასაკვირველია, ჰხედავდა და, რალა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა და ჩემი თავიც მალე შეიძულა, მაგრამ არცკი მე მიჯდა ის თვალშია. ჩემი აღდგომა მამინიყო, როდესაც გავიგულებდი მამაჩემს გარეთა. მე მძულდა ისა და შემიწოდა სმინლათა, ერთი იმისი დანახვა სულ ამირევდა ხოლმე გრძნობასა და ცნობასა... მაგრამ დედაჩემსკი უფრო აწუხებდა მამიჩემის გარეთ ყოფნა: ისა რჩეულობდა ცემასა და გინებას, ვიდრე გარეთ ყოფნასა. დედიჩემის გულში იძროდა და დეღლებოდა ის სიყვარულის იქნეულობა, რომელიც ასრე ცხოველია შეყვარებულის ქალის გულში. როცაკი პატარას დაიგვიანებდა მამაჩემი, დედაჩემი იდგა კარებში და მოუთმენლათ გაჰყურებდა მამიჩემის გზასა და იღამებდა ლოდინში თვალებსა. ეხ, შე საწყალო დედაჩემო! ღირდა იმ გვარი მხეცი შენს მაგ გვარს ცხარე სიყვარულსა!....“

„მამა ჩემი ხშირათ ორი სამი თლე იყო ხოლმე დაკარგული და ისიც როცა დმბრუნდებოდა, ამ თავის დაკარგვას დედაჩემს აბრალებდა. „შენის შიშით შინ ვეღარ დავბრუნებულვარ თითო კვირობითა, რომ ეგება თავი ცოტაც არის მოვარილო მეტეი... დღე და ღამე ძილი არა მაქუს თქუტუნნი გადამკიდე... შენა გგონია მე შენ ესეები შეგარჩინო... დაიცადე, მოვიცილი შენთჳსაცა.. ან შენ უნდა იყვე ცოცხალი, ან მე... თუ მე შენ ცოცხლივ არ ჩავაძაღლე და ჩავღარძე, მამ რალა კაცი ვყოფილვარ... მე ის არ გახლავარ, როგორცა გგონია!...“

„გაუჩუმდებოდა დედაჩემი ბრალი იმისი, არ გაუჩუმდებოდა და უარესს უშვრებოდა. გაჩუმებაზედ ჩააცივდებოდა „გაჩუმი? განა!?... რატომ არას ამბობ, თუ შენ კარგი სული ხარ, განა ჰგრძნობ შენს დანაშაულსა... ჰა!...“ თუ გეპასუხებოდა: „გაჩუმი! გაჩუმი! — დაუბრიალებდა ხოლმე თვალებსა, თორემ სულ ამოგართმევე ემაგ კბილებსა! ვისთანა მართლულობ თავსა, რომ მართულობ!... მე არ გიცნობ რაც უჭლი ხარ! სულ ვიცი შენი ამბები?...“ და აქ მამჩემი ჩამოუთელიდა ათასნაირს საყვარელსა.

ერთის სიტყვით, ვისაცკი როდისმე დალაპარაკებია, ყველას საყვარლებათ უხდიდა.

„საწყალი დედაჩემი მარტო ჩემშილა ჰხედავდა ნუგეშსა. როცა გაიცლიდა მამაჩემს, ჩამიკრავდა გულში მტირალსა და ჩემზედლა მოიბრუნებდა ხოლმე გულსა. „ნუ სტირი, უჭლო. — მეტყოდა ხოლმე ისიც გულ აჩუყებული ჩემის ტირილითა, — ალბათ რომ ამის ღირსნი ვიყავით და ღმერთმა ეს მოგვაგო...“

ჯერ მინამ სამსახურში იყო, ამ ყოფაში ვყვანდით მამა-ჩემსა და ახლა იფიქრეთ, რა დღე უნდა დაგედგომოდა იმის სამსახურის გამოგდების შემდგომ, როდესაც სიღარიბე და ნაკლებულობა ცალკე უმღერედა გულსა. თავისის ურიგოებისთვის სამსახურიდამ დათხოვნაც ჩუპნ დაგვაბრალა. „თქვენგნით დამემართა, რაც დამემართა! თქუპნ რომ რიგიანი და ჩემი ერთგული სახლობა მყოლოდით, რათ მომივიდოდა ესა!... ოჰ! როდის იქნება ერთი თქუპნს თავს მოვრჩებოდე!“

შემდგომ თავის სამსახურიდამ დათხოვნისა, მამაჩემმა ცოტ-ცოტათი შეაჩვია დედაჩემს კელი და დაუწყო ცემა, და ბოლოს ისე სცემდა, რომ სასიყვდილოთ აღარა ზოგავდა, — სამართლისა რომ არა შინებოდა კიდევ მოჰკლავდა.

„შენ რაღასა ღნავი უკანონოვ! — შემომიტევა ხოლმე ის მე, როცა დამინახავდა დედის მწუხარებაზედ მტირალსა, გაჩუმიდი? თორემ ემაგ თანჯრიდამ გადავისვრი!... გესმის თუ არა!.. არა, შენ რა გკლავს?!... შენ უარეს გიზამ, თუ ჩემს შესარცხვენლათ დედამენის კვალს გაჰყვები! მე გიჩვენებთ თქუპნ, ტირილი როგორიც უნდა!...“

„ბოლოს იქამდინ გახელდა, რომ ცემასაც აღარ აჯერებდა დედაჩემსა და ხშირათ ჩამოიღებდა დამბაჩასა, ან ხმალსა და მისცემდა ხოლმე დედაჩემს გულში.. „მოკვდი! მოკვდი შე აძალღებულო, თორემ ეს არის ძალათი ჩაგაღრძე, როგორც ერთი ვინმე პირუტყვი!...“

აჰ მეტი მოთმინება შეუძლებელიდა იყო და დედაჩემმა ითხოვა, რომ მოეშორებინათ ეს ქმრისათვის, მაგრამ მოუვიდა უარი. ეს რომ მამაჩემმა გაიგო, უარესს დღეში ჩავვაგდო. ჩუპნი ყოფა თან და თან უფრო და უფრო

აუტანელი და სამძიმო შეიქნა. დედაჩემს, რომელსაც თავის დღეში ფრჩხილი არ წამოსტკიენია, გამოაჩნდა ცოტ-ცოტათი სიმკლექე. სხუთა უმამიჩემო კაცი, ახლა მაინც არის შეებრალებდა და ისინი დისებდა, მაგრამ იმან უარესი უყო დედაჩემსა: ისა ხედავდა, რომ უსრულდებოდა გულის წადილი და თან და თან უფრო უმატა თავის სიავკაცესა.

„თითქმის ერთი წელიწადი მეტი აღებინა დედაჩემს სისხლი და იტანჯა ამ სამინელს სიჭლექეში, მაგრამ ამისთვის არსად წამალი, არსად ექიმი, არსად ნუგეში და ტკბილის სიტყვის მიქმელი არ იყო; ტამბახისა და ამოღებულის ხმლის ქვეშ ართმედა ქმარი მათრახით სულსა უიმედოდა უნუგეშოს, რომელიც საღმთო ცხვარივით უღვა დამკლავებულს სიკვდილს კრიჭაში და შეღონებულის გულით ელოდა, როდესაც ის უკანასკნელათლა მოუჭერდა იმას თავის დაუზოგავს ბრჭყალებსა... ჩუბნი მეზობლები, იმის მაგივრათ რომ შეებრალებინათ, ნიშნს უგებდნენ დედაჩემსა, რადგანაც ამის მიუყარებლობას აბრალებდნენ სიამპარტავენსა (ჩუბნი მეზობლების მომეტებული ნაწილი კელოსნობა იყო.) ახია მაგაზედა. — ეუბნებოდნენ ერთმანერთს, როდესაც მე შევესტირებდი ხოლმე დედაჩემის მდგომარეობასა. მაგას ასე ეგონა არავის თავი დასჭირდებოდა!.. ყველა ამპარტავენსა და გოროზს ადამიანს ეგრე დაემართება!...“ დედაჩემმაკი მაშინვე იცოდა, რომ ასრე იტყოდნენ ამაზედ სხვები და როდესაც ვეტყოდი ხოლმე, რომ მეზობლებს შევატყობინებ მეოქი, ის მიმლიდა და მეტყოდა ხოლმე, რომ ყველას თავისი დარდი აქუს და სხვისთვის თავს არ გაიცხელებენო.

„ამ ყოფასა და ცხოვრებაში, როდესაც პირი საფლავისა-

კენა ჰქონდა, იმას კიდევ მე ვყვანიდი სამწუხროთა. „ღმერთო, ვინ იქნება შენი პატრონი! — ჩამიკრავდა გულში და მეტყობდა ხოლმე ისა, — ვინ იცის, რა დღე მოგელის შენა!...“ დედაჩემი წინდაწინვე ჰგრძნობდა, რომ მე მამაჩემი მამობას არ მიზამდა.

„როდესაც დედაჩემი სასიკუდილოდ შეწუხდა, მე გავეკანცხირილითა და შევარდი მეზობლებთანა, რომ ეგება ვისმე მე მაინც არის შეგებრალეზობი და შემოეხედნათ დედაჩემთან. ძლივს ერთი ღუთის მიერი დედაკაცი შემოვიდა დედაჩემთან და რომ დაინახა იმისი საცოდავით დამდნარი სახე, ის მართლაცა და სიბრალულით მოუჯდა დედაჩემსა. დიდი ხანია დედაჩემი გადაეჩვია სხვის შებრალეზობასა და, როდესაც დაინახა თავისთან გულის შემატკივარი ადამიანი, მოუვიდა თვალეზზედ ცრემლები.

— ურიგო არ გახლდებათ, ბატონო, — უთხრა მწნობელმა დედაკაცმა, — რომ ექიმი მოგიყვანინოთ.

— არა ჩემო დაო, — უპასუხა დედაჩემმა, ეხლა ჩემთვის ტყუილილა; მე სიკვდილის პირიდან ველარა მიხსნისრა... მე მხოლოდ ამას გეხვეწებით, რომ ჩემს მამას ყური უგდოთ... არავენ იცოდით, რა მწუხარებაში ვიყავით და ვართ... მე ეხლა მხოლოდ ჩემი მამალა მყავს სამწუხარი, სხუა სასინანულო სოცოცხლემი არა მაქტსრა და სიკვდილი ჩემთვის სანატრელიც არის...

„აქ დედაჩემს დაუწყო სულთ ბრძოლა; ხმა ჩაუფარდა, დაიწყო მძიმეთ ქშინვა, თვალეზი გადმოუტრიალდა, სახე ეღრიცებოდა... მე ვადექ თავსა, არეული, ვიმტვრევი თითებსა, ვიგენეტლი ტუჩებსა...! და არ ვიცოდი რა მექნა...

ამ დროს შემოვიდა მამაჩემი და, დაინახა თუ არა უცხო ადამიანი სახლში, აირია.

— ვერ გასძეღ, რომ შენი აწრობა ქუცყინისთვის არ შეგეტყობინებინა! შეუტია იმან დედაჩემსა.— მე გთხოვთ,— მიუბრუნდა მეზობელს დედაკაცს,— რომ ამას იქით ყური არ უგდოთ მაგის ფარისეველობასა და ტყლარჭუასა, თორემ სულ გადაგრევთ, ეგ ისრეთი ადამიანია.... მეორეც ესა, ჩუპნ შინაურს საქმეში ვის რა კელი გაქუს გასარევათა!...

„დედაკაცი, გაწითლებული, მამინევე გავიდა და გაეცალა მამაჩემსა, ერთი ესკი წაიბუტბუტა კარებში: „ვაი შენი ბრალო, ქალო, მაგისთანა ქმრის ხელში!“ და გავიდა.

— არა, რა გატირებს ერთი მითხარი!— შემომიტია მე: თუ დედაშენი გენანება, შენც ზედ დაგაკლავ... მე ჩემი ურჩი და უსიამოვნო არავინ მინდა... შენ ვილას ატყუებ მაგ შენის ღრეცითა და კლაყენითა!— მიუბრუნდა ის ახლა დედაჩემს:— ვინ გინდა შეაშინო შენი ტყუილის გულის შეღონებითა!... რომ მართლა კვდებოდე კარგი იქნება; მაგრამ რომ არა ძალღდები!... კი ველარა დავეგარა რა ამის სიცოხლესა და!...

„დედაჩემს ამოხდა რალაცა საშინელი ოხვრა.

— მოკვდი და რალა!— შეუტია მამა ჩემმა: **Вишь, кряхтитъ,** და ამ სიტყვებთან გავიდა.

„დედაჩემს მოუმატა მძიმე ქმინვა; მერე უგონოთ გადმობრუნდა ჩემსკენა, მომკიდა კელი, დამისვა თავითა და მომესვენა გულზედა. პატარას ხანს უკან გამომართვა ზელო და ჩაიდო მკერდში. იმას ერთი კიდევ ამოხდა მძიმე ზენემა და დაუწყო სულთ ბრძოლა. თვალები გადაუტრიალდნენ,

კისერი და ხელები მოეწმენ, გული საზარლათ უცემდა.

„მამაჩემი კიდევ შებოვიდა და დაუწყო იჭენეულათ ცქერა სულთმოზრდავს დედაჩემსა. ამისმა სახის სასიკუთღლოთ ღრეცამ, გადმოზრუნებულმა უძრავმა თვალებმა, მოდუნებულიმა ასოებმა და ძლიერმა ძარღვების ცემამ დაარწმუნეს მამაჩემი, რომ იმის მოძულეებული ცოლი სწორეთა კედებოდა. მამინ, ხოლოთ მამინ გააღვიძა მამიჩემის გულში სინილისმა და სიბრალულმა. ის მივიდა და მოჰკიდა დედაჩემს მაჯაზედ კელი. „ნინო!... მომიტყევე... მე ვარ შენი მკვლელი, უთხრა მამაჩემმა, და ამოუჯდა იმასაც გული.

„როგორც ეტყობა ის შესანიშნავი შენაწება მამიჩემისა შეესმა მომაკვდავს დედაჩემსა და ეინ იცის რა აგრძობინა გულსა. იმას მოუვიდა დახოცილს თვალებზედ ცრემლი, მაგრამ ამაოდ მოარიდა ცრემლი და თვალი იმან მამაჩემსა. აქ ერთი გააზმორა საძაგლათა და დალია დედაჩემმა სული.

დედაჩემი როგორც საწყლად მოკვდა, ისრე საწყლათაც დამარხეს. მამაჩემი სტიროდა დამარხვაზედ.

„რამდენისამე კვირის უკან შემედომ დედიჩემის სიკვდილისა, მამა ჩემთან დაიწყო სიარული ერთმა ყმაწვილმა ქალმა. ის არ იყო ურიგო სახისა, მაგრამ ზოგი მიმოხვრა იმისი უმღვრევედა კაცს გრძობას, თუმცა ამგვარი გცევა ბევრს კაცს ძალიან მოსწონს. ის ქალი იცვამდა ახალ მოდურათ და მდიდრულათ. ამ ქალმა დაიწყო თან და თან ხშირათ სიარული ჩუტნსა და ბოლოს სრულებითაც დაემკვიდრა ჩუტნს სახლშია.

„მამა ჩემი ერთ კვირემდინ თუ მეტნაკლებს ხანსა, მეპყრობოდა ტყბილათ. მას უკან კი დამიწყო ძველებურათ დე-

ენა და ჩემი თვალით დანახვა იმისთვის გულში ისარი იყო. აგრეთვე არ უყვარდი იმის სატრფო მეგობარს ქალსაცა. „რა წუჭი რამ არის ეს თქუპნი ქალი!“, ეტყოდა ხოლმე ის გაკიცხვით მამაჩემსა.

— მაგის დედის შვილი რათ ექნება კარგი-უპასუხებდა ხოლმე მამა ჩემი გესლიანათა.

„აი, ამ გვარს ცხოვრებაში ვიყავი მე მამიჩემის ხელში. არ იპოვებოდა ჩემს ბედზედ ადამიანის შვილი, რომელსაცა სცოდნოდა ჩემი მწუხარება და გულის პასუხი. მამა ჩემი, არამთუ არ მძღვედა ვისთანმე მისვლა მოსვლის და მიყოლ-მოყოლის ნებასა და მეზობელს დედაკაცს რომ ჩემს კარებზედ გამოვლაპარაკებოდი, მამინაც ცემით სულს მართმევდა. ჩემი წუგეშნი იყვნენ წიგნები, რომელნიც მამაჩემს თავის სიყმაწვილეში შეეძინა და ხელ საქმე: ჩემი, მამიჩემისა და ნადკას (ნადკა ერკვა მამის მეგობარსა) საყვარეები.

„ამ ყოფაში მე დავეყავი ერთი წელიწადი.

„ერთხელაც, ერთს მშვენიერს დილაზედ მოვიდა ჩუპნსა ერთი პოლიციის ჩინოფნიკი და გამოუცხადა ნადკას საჩივარი ასი თუმანის ვალისა, რომელიც იმას ემართა ამ ჩვენი სახლის უმფროსის დედაკაცისა და, რომელიც დასდებოდა თავის ამ სახლში ყოფნის დროსა. ეს ვალი დასდებოდა იმას მამიჩემის გულისთვის.

„ნადკას რაღა თქმა უნდა, როგორც სხუა იმ წოდების დედაკაცს, არა ჰქონდა ფული. მამაჩემს ხომ დიდი ხანია ამდენი ფული სხვისაც არ ენახა. ამ ვალზედ უარის თქმა არ შეეძლოთ, რათგანაც თამასუქი კანონიერი იყო. ამ დღეს, რაკი ესეთი ორიოდღე მანეთი ხელში ჩაუდგეს, როგორც იყო

მოიშორეს თავიღამა ეს პოლიციის ჩინოფნიკი. გავიდა რამდენიმე ხანი და პოლიციის ჩინოფნიკი კიდევ მობრძანდა, კიდევ მოიშორეს თავიღამა; მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო სასტიკი ბრძანება მოდიოდა იმ ფულის გამორთმევისა. ერთს ღამესაც რალაც ამბავი და ლაპარკი შეიქნა მამიჩემისა და ნადკას შუა. ნადკა გაჯავრებული გამოვარდა მამიჩემის ოთახიღამა და მოაძახა კარებში. „რადგან თქვენ თქვენნი ქალი უფრო ძვირათ გიღირთ, ვაშვებ თქვენი ქალი და ვგ თქვენა!.. კარგი, თუ კიდევაც მოგაგონე ჩემი თავი!.. ის გარისხებული გავარდა და გაიჯლახუნა თან კარები.

„გავიდა ერთი დღე, მეორე დღე, კვირე, მეორე კვირე და ნადკა არსად არის. მამა ჩემი იყო ხოლმე მთელი დღეობით ხმა ამოუღებელი. ბოლოს იმან დაუწყო არაყს სმა და მინამ სვამდა, მინამ სრულებით უგონოთ არ შეიქნებოდა. მთერალი მოჰყვებოდა ხოლმე ტირილსა და წაიშენდა თავსა და პირში მუსტსა. მთელი დღე კენესოდა და ოხრამდა, დაეტყობოდა, რომ რალაც მძიმე და მოუსვენებელი მწუხარება აწვა გულზედა. მე დამიწყო სიბრაღულით ყურება და მეკიდებოდა ალერსითა...

„ნადკა ჯავრზედ ხშირათ ჩამოულიდა ხოლმე მამაჩემს კარებზედ ფაეტონითა სხვა და სხვა ყმაწვილ კაცებთან. მამაჩემს ემღერეოდა. ამ ამბავზედ სისხლი და იტაცებდა ხოლმე მწარეთ ქოჩორში ხელსა და დაემხობოდა პირქვე.

„ერთი კვირე მამაჩემი იყო გუჟივითა და არ იცოდა რა ექნა. იმის გულში იყო რალაცა სამინელი ბრძოლა და იყო ორს წყალს შუა; ბოლოს, როგორც ეტყობა, დასძალა თავის მოყვარეობამ შკლის მოყვარეობა...

„ერთხელ იმან უცებ წამავლო ხელი, ჩამისვა კალათაში და დამიწყო ტირილით კოცნა.

„მე ვგრძობდი, რომ რაღაცა მძიმე მწუხარება აწვა გულზედ მამაჩემსა, მე მებრალვებოდა ის მწუხარებისათვის; მაგრამეი ვერა ვებდავდი მეკითხნა, რა იყო მიზეზი იმისის ასრეთი მწუხარებისა... რა მომაგონებდა თუ ამ მწუხარებას მოზღვედა ჩემი უბედურება.

„მამაჩემმა ჩამიხუტა ბოლოს გულში, თითქო საუკუნოთ მესალმებო, მაკოცა ცხარეთ შუბლში და წავიდა საღდაცა... საღამოზედ მომიტანა რაღაცა ქალღლი, რომელზედაც წაუკითხავათ ხელი მომაწერინა და ისევ საჩქაროთ წაიღო... რა ვიცოდი მე უბედურმა თუ მე ამ ჩემის ხელმოწერით, ნაღვას ვაღში ვყიდდი ჩემს თავს, ჩემს ხორცს... საუკუნოთ ვუბედურდებოდი... და ასს თუმანს სხვის ვაღსაც კისერზედ ვიღებდი.

„ერთს ორს საათს უკან მოვიდა მამა ჩემი და თან მოჰყვანდა ნაღვა და ეს ჩუხნი გასიებული, ემბაკეული, სახლის უფროსი დედაკაცი, რომელიც მაშინვე მჭიზლა გველზედ უარესათა.

„დამინახა თუ არა ამ დედაკაცმა, თვალემა შეუთამაშეს და გამოჰკრა ტაში. „უფ? რა ლამაზი რამა ყოფილა!... ისე შევიინახავ მაგასა, როგორც ჩემს შვილსა?..“ და ამ სიტყვების გათავებზედ იმან მაკოცა ალფრსით შიგ შუბლში, რომელიც როგორც საწამლავ მოცხებული, ისე მოვიწმინდე კაბის სახელითა.

— ეს განლავთ ჩემი ქალი!... გთხოვთ კარგათ შემინახოთ ჩემს მოსვლამდინ, — უთხრა მამა ჩემმა გასივებულს

ღელაკაცსა:--მე რუსეთს მივდივარ, მამავე,--მომიბრუნდა ახლა მე მამაჩემი!--და მინამ დავბრუნდებოდე, ამას ებარები... კარგათ მოგივლის და შეგინახავს...

„აქ მამაჩემმა უნებურათ ამოიოხრა და ამ ოხვრაში სულა სჩანდა იმის სიტყვებით სიყალბე და სინიდისის საყვედური, თუმცა კიდევ ვერცარას ფიქრს მაშინ მოვიდოდი... ყველა რომ მეფიქრა, ამას მაინც ვერაოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ მამა შვლს გაიმეტებს მისაცემათ ამისთანა გასაუბატოებელს და . . . სახლში.“

„გამოსალმებზედ მე დავიწყე ტირილი... მენანებოდა მამის დამორება, რომელიც ცოტა არ იყო თან და თანშემიყვარდა ბოლოს დროს, როდესაც იმან დამიწყო ალფრსითა და სიბრალულით ყურება. მამაჩემმა დაიწყო ტირილი... ვინ იცის მაშინ რას ეუბნებოდა ამას თავის სინიდი-სი!... ის, რა თქმა უნდა, აგრძნობინებდა თავის დანაშაულსა იმისგნით მოკლულს ცოლთან, და ასრე უბატოურათ გაყიდულს შვლთან...“

„მეორეს დღეს მამაჩემი თავისის ნადკათი წავიდა რუსეთში, და მე მამიყვანა ამ ღელაკაცმა.....“

6.

აქ მოუვიდა იმას ტირილი, დაემხო პირქვე და მიიფარა თვალეზედ კელი.

მე იქნება არ დამეჯერებინა ეს ამბავი, მაგრამ ესრეთის სისწრაულითა და ტანჯვით ამბობდა ის ამ ამბავსა, რომ რაც უნდა ურწმუნო კაცი ყოფილიყო, უეჭველათ ერწმუ-

ნებოდა ამ სამწყხარო ამბავსა. მე საშინლათ შემებრალა მაშა. მე ჩაფეიქრდი და დამიწყო ათას ნაირმა ფიქრმა თავი ტრიალი. მე დიდხანს ვიყავი ასრე დაფიქრებული.

— რას ჩაფიქრებულხართ? — მკითხა უცებ მე მამამ: — მე ვიცი თქვენ არა გჯერათ ჩემი ამბავი; მე ვიცი რომ დაუჯერებელია ეს ამბავი... მაგრამ გარწმუნებ, რომ ამ ყოფნაში ჩავარდნილი ქალი ძვირია უმიზნობათა... რომელსაც გინდა ჰკითხე ამ ჩუბნს სახლში მყოფს ქალსა და იმათგან გაიგონებთ იმისთანა სამწყხაროთ თავს გადასაველებს, რომელნიც ამჟამად ნაკლები სამწყხარონი არ არიან... მაგრამ ბევრნი მალე ეჩვევიან ამ ცხოვრებასა... იმათ აღარ ეწყუბებათ დაკარგული პატიოსნება... მგვი არ ვიცი როდის შევეჩვევი!.. მგონია არც როდის... და ნურცა ჰქნას ღმერთმა... როგორც იქნება და როდისაც იქნება გადავიხდი ჩემს ვალს... და მასუკან სულს მანც არ წავიწყმედ, თუ ხორციელათ აღარა მაქვს პატიოსნების სახელის იმედი... როგორც იქნება მოვიწინებ ჩემს ცოდვასა....

— ბევრია თქვენნი ვალი კიდევ? — ვკითხე მე.

— იქნება კიდევ სამოც თუმნამდინა.

— დავიჯერო აქამდინ ორმოც თუმნამდინ მეტი ვერ გადაიხადეთ?... თითქო ბევრს ფულს უნდა იღებდეთ, და...

— განა მეტს არ გადავიხდიდით, მაგრამ ისეთ ნაირათ უჭირავს საქმე ჩუბნს უფროსს დედაკაცს, რომ მესამედ ფულსაც არ გვაჩვენებს თვალითა და დანახარჯს ერთი ხუთათ გვიანგარიშებს....

— უჩივლეთ.

— მამ გეტყობათ თქვენ ჯერ საჩივარში გამოცდილი

არა ხართ!... შერე ჩუპნ ვინ გვიგდებს ყურსა... იქ უფრო ერთი ორათ მეტს სირცხვილსა ვჭამთ...

— დავიჯერო თქუპნ არავისთვს გითქვამთ თქუპნი ამბავი, — გავაწყვეტინე მე სიტყვა.

— როგორ არ მითქუამს და კიდევ შემიტირნია, მაგრამ სიცილიათაც არავის ეყო... ანკი ვის რა ენაღვლება!... თავის სურვილს რასაც დროს უნდათ ფულით შესრულებენ და სხვა რა დარდი აქუთ... ყველა მარტო თავის დარდსა სწუხს...

მე კიდევ ჩაფიქრდი... ფიქრობდი, თუ რა ღონით შეიძლებოდა ამისი აქედამ გამოხსნა; მე არა მქონდა სრულებით არაფერი ღონისძიება. მე მაშინვე გამიღვია თავში სვიმონმა, მაგრამ არ ვიცოდი ის დაიჯერებდა ამ ამბავს თუ არა... ან ისიც იმოვიდა სამოც თუმანს?... მამაზედ ბევრი იმედი არ იყო რომ ამოღენა ფული გაემეტნა, და მეტადრე თუ იმასაც გაიგებდა რისთვისაც უნდოდა იმას ის ფული!...

მაშა ჰგონებოდა, რომ მებრალეობდა ისა და მართლის გულით შეუდექი იმის მწუხარების ფიქრსა.

— ფიქრი ნუ გაქუთო! — უთხარი ბოლოს მე, სადაც იქნება და როგორც იქნება ვეცდები თქუპნს აქედამ გამოხსნასა და თუ მოვახერხებ, დარწმუნებული იყავით, რომ პირველი ჩემი საქმე ეგ იქნება...

— გაგიტება? — უცებ შემომძახა მე კარებიდამ სვიმონმა. თურმე კიდევ გათენებულიყო ჩუპნს ლაპარაკში და მე ისევე ახალი დაღამება მეგონა. მე მენანებოდა მამას დამორება: უნდა გავსტყდე, რომ მე პირველათ შემეარღნია ქალზედ ას-

რე თვალი და პირველათ მიგრძენია ამ გვარი სიბრალოული აღამიანისა... რომ შემძლებოდა, უკანასკელს სერთუეს დავა- გირავებდი, გამოვიხსნიდი და, ვისაც რა უნდა ეთქუა, შე- ვირთავიდი... მაგრამ მე ესეც დიდათ სასიამოვნოთ მექ- ნებოდა, თუ სვიმონიც არის გამოიხსნიდა იმასა.

— ეხლავე!—შეეძახე მე სვიმონსა და წამოვდექე გამოსასა- ლმებლათ.

— მიდიხართ?—მკითხა დალონებით მამამ.

— მივდივარ და იქნება ღმერთმა ინებოს და კიდევ შა- ლე უფრო სხუა ფრევა ვნახოთ ერთმანერთი. მე უეჭველათ იმედი მქონდა, რომ სვიმონი უშველიდა იმასა.

მე გამოვადე კარი და წამოველ. მამას ქვითინი შემო- გვესმა.

— ოჰო!— შესძახა გაკვირვებით სვიმონმა:—შენ მალე დაგი- თესია ტრფილები ალი!... აი რა არის უმანუოება კაცისა; ჩემი კიდეც უხაროდა, რომ მოვდიოდი...

— არა, აქ სხუა ანგარიშია!—და მე უნებურათ ამოვიო- ხრე...

— ვა! ვა! თქუენ ალარა ჰხუმრობთ!... აგრე მალე გა- მიჯნურება!?... აუი გეუბნები, რომ შენ ჯერ ისეც ხბო ხარ მეთქი!... შენ რომ სხუა ქალებში ყოფნა შეგვხედეს, მამინ რა გეშველება!?...

— ჯერ გაიგე შენცა რა ამბავია, — ველაპარაკებოდი მე გზაში, და მემრე ისე დაიწყე ლაპარაკი.

— განა არ ვიცი რაც ამბავია: გული გულის ალაგს ალარა გაქუს!...

— შენ კიდევ შენსას არ იშლი... იქნება არის მიზენი,

რომ გული გულის ალაგას აღარა მაქვს...

— ვიცი უმიზეზო არ იქნება: ფერ უმარლიო ბლომათ ექნებოდა წათხუნული და გუნდა და ბასმა ედებოდა და უზოგველათ, — შენ ყველა ნანდვილი სილაამზე გეგონებოდა და მეტიც აღარ გინდოდა.

— ეგ არის! რაკი შენ ერთი შეტობამ, კაცი ველარც და გახვეინებს... რით იცი, რომ სწორეთ ეგ აგრე იყო!...

— მე რომ გიცნობ, — იმითი ვიცი და ის მაფიქრებინებს..

— ეჰ, რას გელაპარაკო!... ჯერ საქმე არ იცი და აგიხირებია...

— მე გაეჩუმდი და აღარა უპასუხე ამის მეტი არაფერი. მე გული მეღრინებოდა იმის ასრეთს ლაპარაკზედა: ჩემი იმედი ის იყო, ის თუ უშველის რასმე იმ საცოდაეს ქალსა მეთქი და იმან არცარაფერი კი მათქმევინა!... მე თუმცა იმედს არა ვკარგავდი სვიმონზედა... მაგრამ რაკი გულზედ სევდათ არ მაწვა ეს ამბავი, მინდა მალე მეთქუა სვიმონისათვის და მსწრაფლად შემეტყო იმისი აზრი, და ისკი ასრე უდროვოთ და ულაგოთ სასაცილოთ მიგდებდა მეცა და ჩემს მწუხარებასაცა.

დაებრუნდით თუ არა შინა, სვიმონ მაშინვე დაწვა ქვეშაგებში და დაიძინა. მე ისრე ტანისამოსით დავეგდე და მივეცი მამაზედ ფიქრსა. ამ ფიქრში მეც დამძინებოდა.

ათი საათი იქნებოდა თითქმისა, როდესაც სვიმონმა გამადვიდა. ის იყო, როგორც სჩანდა, კარგს გუნებაზედა.

მე ძალიან დასუსტებული ვიყავ, ცუდათ მეძინა და ცოტა არ იყო კიდევ შემციენოდა.

— შენ ძალიან დათენთილ ხარ!... ხომ არ გიხამა? — მკი-

თხა მე სვიმონმა, რაკი ცუდს ფერზედ ღამინახა.

— არა, და რასაცა ჰფიქრობ, ის ხომ ფიქრათაც არ მომსვლია... შენ სიცილათაც არა გყოფნის, მაგრამ სამინე-
ლებუკია, რაც მე წუხელის ჩემი არჩეული ქალისაგან გავი-
გონე... შენ იქ აღარ იყავ, როდესაც ის მოვიდა.. მე არ
მომწონებია ისრე ქალი.... ისრეთი უმანკო სახე და სახის
მეტყველება ჰქონდა, რომ მე უნებურათ მომინდა იმ ქალის
გაცნობა და იმის ამბის შეტყობა, თუ რა მიზეზით ჩავარდა
ის იქა.

— უმიზეზოთ სხვა ვინ ჩავარდნილა იქა, რომ ეგ ჩავა-
რდნილიყო, მაგრამ რაკი ერთი ჩავარდებიან ხოლმე მანდა,
მასუკან უტკებებათ და აღარ ნდომობენ, თუნდა შემთხვევაცა
ჰქონდეთ სხუა რიგს რიგიანს ცხოვრებისა.

— არა, ეგ პირ იქით, უნდა გაჩვენა რა მწუხარებით
ამბობდა თავის ამბავსა.. გული მომიცვდა, მე რომ იმას
ყურს უგდებდი.

— ეგ კეთილი, რომ კაცი გებრალემა, მაგრამ იმისის
ცრემლით რომ მოტყუებულ ხარ ეგ არაფერი მოსაწონია..

— უნდა გაიგონო შენ იმისი ამბავი, რომ მამინ აგრე
აღარ იტყვი.

— ოო! ბევრი ამბავი გამიგონია, მაგრამ ერთი შებრა-
ლების მეტი იმ პირებისა, რომლებსაც თავს ის უბედურე-
ბები მომხდარან, მეტი არ გამწყობიარა და შესაბრალისნიც
ამით უფრო არიან, რომ თითონ აღარა გრძნობენ, ან
უკეთა ვსტუჟათ, ვეღარ დარევიან თავის თავსა, რომ სხუა
კარგის ცხოვრებისათვის იზრუნონ.

— კიდევც ეგ არის სამწუხარო და იმითია შესაბრალი,

რომ ისა გრძნობს თავის მდგომარეობასა, უნდა იმ ყოფი-
ლამ თავის გამოხსნა და იმისთანა მდგომარეობაშია დაყენე-
ბული, რომ ვერ გამოუხსნია თავი.

— შენ აგრე გეჩვენებოდა... უნახვიხარ ხამი კაცი და
უთამაშებიხარ...

მე ბრაზი მომივიდა.

— შენ ღღეს ისეთს გუნებაზედა ხარ, რომ თითონ არ
იცი რას ანბობ!...

— ოჰო! რა ძნელია სახმილის ალი!... მაშ ძალიან მო-
გდებია აი!...

--ვერ გამოგია--ღღეს რა გუნებაზედა ხარ შენა?

--ტრფიალს გულს აგრე ეჩვენება, თორემ მე კარგს გუ-
ნებაზედა ვარ...

--ერთის სატყეით შენთან ლაპარაკი შეუძლებელი შეიქნა!..

--რომ გეუბნები შეისწავლე კაცის ბუნება, ადამიანის
თვისება, ცხოვრება, გარემოება.. აი, ემაგისათვის არის საჭი-
რო, რომ აგრე მალე მახში ალარ გაეგები. ადამიანის ცხო-
ვრება ციხე და იერიშია: ყველა ერთი ერთმანერთს ადგია
და ერთი ერთმანერთს ებრძვის, ატყუებს, და ცდილობს დაი-
პყრან ერთმანერთი და ბრალი გამოუტდელისა და უცოდ-
ნელისა!...

--ეგ შენი ფილოსოფია შენთვის შეინახე.

--მე შენახულიცა მაქვს და დამარხულიცა გულში, მაგ-
რამ არც შენ გაწყენს, რომ იცოდე და გახსოვდეს ეს ფი-
ლოსოფია..

--მე კიდევაც გეტყვი, რომ შენ არ იცი მე რას ვამბობ
და გაუგებრივ ლაპარაკობ... თუ დიდი რამ მიზეზი არა

ყოფილიყო, არც ასრე თავს შევიწუხებდი... შეწუხებულს, მართალს, უსამართლოთ და უღმრთოთ დასჯილს კაცსა ვხედავ და ქვის გული ხომ არა მაქვს, რომ არ შევიბრალო!...

—შებრალებზედ ვინ გეუბნება,—შეიბრალებ, მაგრამ თავიც გახსოვდეს...

მე კიდევ რაღაც უნდა მეთქუა, მაგრამ სვიმონმა აღარ მაცადა: წამოაელო ქუდსა და წავიდა.

მთელი დღე სვიმონი არ შემოსულა შინა. მე უფრო და უფრო მიბრაზდებოდა გული: ეს ერთი კაციღა მქონდა იმედათა და ესეც ასრე ლაპარაკობდა. მე კიდევ უფრო იმხანად მიბრაზდებოდა გული, რომ ვინ სვიმონ და ვინ ასრე უფულოთ ლაპარაკი კაცის უბედურებაზედ. მაგრამ ეს იყო უბედურება, რომ ის ყურს არ უგდებდა ჩემს ლაპარაკსა და როგორც სხვები ენახა, მამაც ასეთი ეგონა.

დავწევი, რომ სვიმონი ჯერ არ მოსულიყო. დაღალულს ძალიან ღრმად დამეძინა. მთელი ღამე სულ მამას ამბავი მესიზმრებოდა. ხანა ვხედავდი, რომ მამა პუბლიჩინი ტორგითა ჰყიდა იმასა; ხანა ვხედავდი იმის დედასა, რომელიც საკვირვლოთ ჰგავდა მამასა, რომ ქმარი ხინჯლით ადგა და სჭრიდა ყელსა. ენახე სიზმარში, ვითომც ბევრი ფული მემოვნა სადღაცა და მამაში ვაძლევედი იმის სახლის უფროსს დედაკაცს და ვისხნიდი მამას. ხან ვხედავდი მამას მამასა, რომელიც ტიროდა და ეხვეწებოდა მამასა, რომ მომიტყევეო... კიდევ ვინ იცის რა არ მესიზმრებოდა.. შვიდი საათი იყო, რომ გამოემღვიძა და ძლივს მოვედი ფიქრსა; ასრე მეგონა ისევ სიზმარში ვარ მეთქი.

—სვიმონ სად არის?—ვკითხე მე გოგიას, რომელიც შემოიპარა ფეხის ფეხილებზედ წაღების გასატანათა.

—ის წუხელა დან გვიან მევიდა.—მიპასუხა გოგიამ: მაგრამ მისთანა აშფოთებული მე ის არ მინახავს. რაია მის თავს, ხომ არ მოგეხსენება?

—არ ვიცი... ხომ ავით არ არის?...

არა მგონია, ისტეა რალაც მის თავს... ვორი საათი მეტი ბოლთას კრავდა და ლაპარაკობდა ხან ქართულს, ხან რუსულს და ხან რას... დან გამფოთებული რასმე იყო.

—არ ვიცი!—უპასუხე კიდევ და შევედი ფიქრში, თუ რაზედ უნდა ყოფილიყო ის ისრე დაფიქრებული.

—ეგ დან ახირებული კაცია,—დაიწყო კადევ გოგიამ,—არვის დაზოგვა არა აქტს; სუყველა არ მოსწონს, სუყველას დასცინის, აგინებს... თავიზედ დიდი არ მიაჩნია არავინ; ვინც არ მოეწონება, არაფრათ აგდებს, სუყველა დიდი კაცი გედივიდა და ჩემისთანა გლახა კაცს ეპყრობა მოკეთეთ ... რაფა კეთილს ნახავს ეგ... მე წუხელი დან შეეშინდი... ეგ მისთანა კაცია, რომ არც თავს დაზოგავს... ვაითუ ცოდოში ჩაგვაყენოს მეთქი...

—რა ცოდოში! რას ამბობ!...

—იმე! რა ვიცი! რალაცა ფრანცული კაცია... მის დღემიდ არც ლოცვა იცის, არც ხატი; სამთელს ეკლესიაში ერთხელ არ აანთებს... და ავა ეშმაკი ძლიერია... ვინ იცის რა ჩაუდოს მაგას გულში.

—ფიქრი ნუ გაქტს, გულში არას ჩაუდებს... უთუოთ სხვა რამ მიზეზი იქნება. მე შევიტყობ, თუ ერთი მალე გამოიღვიძა.

—კი, კაი იქნება... თქუტსნ ქე არ დევიმაღათ...

გოგია გავილა.

მე კიდევ დავიწყე ფიქრი, თუ რა მიზეზი უნდა ყოფილ-
იყო სვიმონის ამ ამბავისა.

ათის ნახევარი იყო, რომ სვიმონმა გამომადღიდა; ის მე-
ოთხე საათზედ დაწოლილიყო დასაძინებლათ; ის მაშინვე ჩე-
მთან შემოვიდა პერანგა.

—მართლა რა ლამაზი რამა ყოფილა! დამინახა თუ
არა, შემომძახა იმანა.

—ვინა?—გვითხე მე, თუმცაკი მიხვდები, რომ უთუოთ
მამას ამბობს მეთქი.

—შენი ნაქები მამა!—და აქ გაიქ-გამოიქნია სვიმონმა
თავი.

—მერე შენ რა იცი?

—მე იქ ვიყავი წუხელისა. ორჯელ მივედი და ვერც
ერთზელ ვერ მოვასწარ შინა, სხუაგან წაიყვანათ; მესამეთ
ძლიერ მოვასწარ... ჰმ! მამა! მამა! ის რომ ამბათ დასწეროს
კაცმა, არ დაიჯერებენ: ტყუილი მოგონილიაო... მე ბევრი
შემხვედრია მაგვარი ოჯახის პატრონი კაცი... მაგრამ ეგ
მეტის მეთია... მამა იმ გვართ, ემისთანა მშუტსნიერს სა-
ხით, თუ ზნეობით შვლს ჰყიდის იმ გვარ გასაბილწავათ და
საუკუნოთ დასანთქმელათ... აი კაცის ცხოვრება... „ძლიერ
არიან გულის თქმანი კაცისა და არა აღუდგეს მას ხმა
სინდისისა!“ ამბობს, არ ვიცი საღმრთო წერილი, თუ სხუა
რალაც წიგნი... ძნელია, თუ კაცი იმა სიყმაწვილიდან არ ის-
წავლის თავის ზნისა და გულისთქმის შეკავებასა.. ვინ იცის,
რა რიგათა კვდებოდა მამის გული ამ გვართ შვლის გას-

ყიდვაზედ, მაგრამ ველარ შეუკავებია თავისი წამხდარი გულის თქმა.

— თითონ ქალი როგორღა მოგეწონა?— ვკითხავდი მე სემონს ნახევარ დაცინვით, რადგან იმას ჩემი ამბავი არ სჯეროდა და ნახევარ გახარებითა:— აქუს სურვილი რიგიანის ცხოვრებისა და ეტყობა კიდევ, რომ შეუძლიან კაცურათ ცხოვრება, თუ არა?..

— შენ იცი, — გამაწყვეტინა მე იმანა, რომ მე იმას ცოლათ შევირთავი!...

